HELLO! GEORGIA

SPECIAL LIFESTYLE SERIES

ISSN 2449-304X
9 772449 304001
#01 • 2017
8.00₾

+900
სეზონური რჩევა
მოდის კვირეულებიდან

PRET-A-PORTER

გაგაფხული-გაფხული 2017

PARIS, MILAN, LONDON, NEW YORK, TBILISI

შპს "ფაბერლიკი-საქართველო", საქართველო, ქ. თბილისი, გ. ვეფხვიერის ქ. 18 6+ რეკლამა

SPECIAL LIFESTYLE SERIES

HELLO! GEORGIA

რედაქტორის წერილი

მოგესალმებით კიდევ ერთხელ – ამჯერად უკვე ყველაზე მოდური ჟურნალის ფურცლებიდან. თუ ამ გვერდს კითხულობთ, ეს იმას ნიშნავს, რომ HELLO!-ს განსაკუთრებული გამოცემით დაინტერესდით და მზად ხართ, მოდის სამყაროში ჩვენს გუნდთან ერთად შეაბიჯოთ. გმადლობთ, რომ ყველა სიახლეს, და მათ შორის ჟურნალის ამ ნომერსაც, ჩვენთან ერთად იზიარებთ!

ერთგულ მკითხველებს კარგად მოეხსენებათ, რომ **HELLO!** ვარსკვლავების ცხოვრებაზე ორიენტირებული გამოცემის გარდა, მოდისა და სტილის სამყაროს იდეალური გზამკვლევიცაა. თუ ჩვენს ჟურნალს ყოველთვიურად ადევნებთ თვალს, მარტივად შეამჩნევდით, რომ FASHION-ისა და BEAUTY-ს ბლოკებს ყოველთვის უახლესი ტენდენციების მიხედვით ვავსებთ.

ძალიან გვიხარია, რომ ზუსტად **HELLO!**-ს LIFESTYLE-ის ნაწილი იქცა უამრავი ქალბატონისთვის საყვარელ რუბრიკად და სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ საჩუქარი მივუძღვნათ ჩვენს ერთგულ მკითხველებს.

ვიდრე ჩვენი ჟურნალი ერთი წლის იუბილეს იზეიმებს, პირველად საქართველოში, წარმოგიდგენთ **HELLO!** FASHION-ს – დამატებას მოდისა და სტილის შესახებ, რომელიც ამ სფეროში საქართველოში უპრეცედენტო და ინოვაციურია. 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის მოდური ტენდენციების გზამკვლევი ნებისმიერი ქალბატონის საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი გახდება მთელი სეზონის განმავლობაში.

გამოცემა, რომელიც 5 ქალაქის მოდის კვირეულების მიმოხილვებს, აქტუალურ ტენდენციებსა თუ რეკომენდაციებს აერთიანებს, მთელი სეზონის განმავლობაში იქნება თქვენი საუკეთესო გზამკვლევი სამოსის შერჩევისა და გარდერობის საკითხებში.

2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის ცხელ ტრენდებს ჩვენი გუნდი ნიუ-იორკის, ლონდონის, მილანის, პარიზისა და თბილისის მოდის კვირეულების კოლექციებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ და უამრავ საინტერესო თუ სასარგებლო რჩევასაც მოგცემთ.

ალბათ დამეთანხმებით, რომ მსგავსი მასშტაბების გამოცემა ქართველი მკითხველისთვის საკმაოდ ახალია, საინტერესოა, და გვიხარია, რომ ამ ტიპის ჟურნალის შექმნის პატივი, პირველად სწორედ **HELLO!**-ს გუნდს ერგო.

გამოსვლის თარიღი შემთხვევით არ შეგვირჩევია – ჩვენი ჟურნალის პრეზენტაცია თბილისის MERCEDES-BENZ-ის მოდის კვირეულის აურზაურს ემთხვევა და ლოგიკურიცაა, რომ ეს ორი მოდური მოვლენა ერთმანეთს დაუკავშირდა.

მაშ ასე, გიტოვებთ **HELLO!** FASHION-ის რიგით პირველ გამოცემას და ველით თქვენს შეფასებებსა თუ რეკომენდაციებს. ფერად სეზონს, ბევრ სიახლეს, და მოდის სამყაროში საინტერესო მოგზაურობას გისურვებთ.

მე კი შემოდგომა-ზამთრის სეზონამდე გემშვიდობებით.

ნინო იოსელიანი
მთავარი რედაქტორი

HELLO! GEORGIA

#01 • 2017

სარჩევი

26 ..... CHANEL
32 ..... DIOR
38 ..... ELIE SAAB
44 ..... ISABEL MARANT
46 ..... VALENTINO
54 ..... GIAMBATTISTA VALLI
60 ..... CHLOE
64 ..... LANVIN
68 ..... HERMÈS
72 ..... LOUIS VUITTON
76 ..... NINA RICCI
80 ..... BALENCIAGA
84 ..... BALMAIN
88 ..... STELLA McCARTNEY
92 ..... MIU MIU
94 ..... DOLCE & GABBANA
100 ..... GIORGIO ARMANI
108 ..... ETRO
110 ..... BLUMARINE
116 ..... BOTTEGA VENETA
120 ..... VERSACE
124 ..... ROBERTO CAVALLI
138 ..... JULIEN MACDONALD
140 ..... PETER PILOTTO
142 ..... MARY KATRANTZOU
144 ..... CHRISTOPHER KANE
146 ..... OSCAR DE LA RENTA
154 ..... RALPH LAUREN
160 ..... VICTORIA BECKHAM
164 ..... CAROLINA HERRERA
170 ..... MICHAEL KORS
176 ..... MBFW TBILISI

HELLO! GEORGIA

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
ნინო იოსელიანი

აღმასრულებელი რედაქტორი
ნანკა კიკალია

მარკეტინგი მარიამ ზაქარეიშვილი, ნინუცა მაისურაძე
მოდის რედაქტორი თათია ლაშაური
სტილის რედაქტორი ელენე მარგალიტაშვილი
ფოტორედაქტორი სოფო იოსელიანი
ფოტო UGO CAMERRA, GETTY IMAGES
დიზაინი Ines Alvarez, ნინი ოძელაშვილი
მთავარი დიზაინერი დავით სამსონიძე

¡HOLA! HELLO!

INTERNATIONAL
FOUNDER ANTONIO SÁNCHEZ GOMEZ
HONRARY PRESIDENT EDUARDO SANCHEZ JUNCO
PRESIDENT MERCEDES JUNCO CALDERON
CHIEF EXECUTIVE OFFICER EDUARDO SANCHEZ PEREZ
GENERAL MANAGER JAVIER JUNCO AGUADO

ქართული ფონტები BPG DejaVu Sans, BPG Rioni Contrast, BPG Rioni Contrast Mt

ISO 9001:2008

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი"
საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ტელეფონი: 00 995 322 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE: 00 995 322 53 03 62

Facebook.com/HELLOmagazinegeorgia
Twitter.com/Hellomagazinege

რედაქციის მისამართი: აკაკი შანიძის ქუჩა 13, თბილისი, 0179, საქართველო; **ტელ.**: +995 32 298 03 98; **ელ-ფოსტა:** info@hellomagazine.ge; www.hellomagazine.ge
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალა წარმოადგენს ჟურნალ **HELLO!**-ს საკუთრებას. ჟურნალში დაბეჭდილი ნებისმიერი მასალის გამოყენება გამომცემლობის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია.



Hana wears **Beautie** sandals
Available **in-store** and at **aldoshoes.com**

ALDO

PRET-A-PORTER
გაზაფხული-ზაფხული 2017

ამ სეზონზე ყველაზე გამოკვეთილი ტენდენცია ულტრაფემინური სტილი და დიდი დოზით სიშიშვლეა

ასიმეტრიული შტრიხები, ელექტრიკის ტონები და მკვეთრი ფერები თითქმის ყველა კოლექციის მთავარი ხაზია. თუმცა შავი და თეთრის კლასიკური კომბინაცია არ თმობს პოზიციებს და მოდურია როგორც Casual, ასევე ფორმალურ და კლასიკურ სტილშიც

დიზაინერთა უმეტესობა ამ სეზონისთვის პოდიუმზე 1980-იანი წლების დისკოს ეპოქისთვის დამახასიათებელ თვალისმომჭრელ მბზინვარებას აცოცხლებს

სეზონის დომინანტი ფაქტურა უხეში ტყავია – შეხამებული დელიკატურ აბრეშუმთან, ორგანზასთან და შიფონთან

უამრავი ცვლილებაა არტისტული კუთხითაც – მარია გრაცია ქიური, VALENTINO-ს შემდეგ DIOR-ის მოდის სახლს ჩაუდგა სათავეში, ენტონი ვაკარელომ კი YSL გადაიბარა. ალბერ ელბასთან გამომშვიდობების შემდეგ, LANVIN-ის კრეატიული დირექტორის სტატუსი ბუშრა ჟაღარმა დაიკავა

ტრადიციულად, Ready to wear კოლექციების ჩვენებებს ამჯერადაც Haute Couture მოდის კვირეული უსწრებდა და Fashion ენთუზიასტებსაც წინასწარ ჰქონდათ ინფორმაცია 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის ძირითადი ტენდენციების შესახებ.

მოდა რომ ყველაზე გლობალური და დინამიკური ინდუსტრიაა, ამას საფრანგეთის ბიუჯეტის შესახებ ოფიციალური სტატისტიკაც უსვამს ხაზს – ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში Fashion-ინდუსტრია საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს და ბრუნვით ავიაციისა და საავტომობილო წარმოების ჯამურ მოგებასაც უსწრებს. სწორედ ამიტომ, თანამედროვე მსოფლიოში მოდის სფეროთი ხელოვან ადამიანებსა და მედიასთან ერთად, ბიზნესსექტორიც ინტერესდება.

ყველა მოდის სახლი, კრეატიულ ხაზთან ერთად, საკუთარ იმიჯსა და კომპანიის ბრენდინგზეც სერიოზულად ზრუნავს, ალბათ ამიტომაც საკმაოდ ხშირად იცვლებიან არტ დირექტორებიც. ამ სეზონზე ყველაზე მნიშვნელოვანი ცალსახად მარია გრაცია ქიურის DIOR-ში გადასვლა იყო. კოლექცია, რომელიც ლეგენდარული ფრანგული მოდის სახლის პირველმა ქალმა ხელმძღვანელმა წარმოადგინა, თამამი ფემინისტური მესიჯებითა და ენერგეტიკით იყო გაჯერებული. დიდი დოზით სიშიშვლე, ასევე შიფონსა და ორგანზას ნაზ ფაქტურებზე გაცოცხლებული ზღაპრული ფერწერული ტილოები ქიურიმ DIOR-ის რეპუტაციასა და კონცეპციას საკმაოდ კარგად შეუხამა. ჩვენების Highlight-ი ხლოგანებიანი მაისური გახლდათ – მოწოდებით იმის შესახებ, რომ ყველანი ფემინისტები უნდა ვიყოთ.

SAINT LAURENT-მა ქალი ყველაზე ელეგანტურად და დახვეწილად გააშიშვლა. ენტონი ვაკარელომ აქცენტი ექსტრავაგანტურ მხრებზე, დეკონსტრუქციაზე, ტყავისა და დენიმის თანხვედრაზე გაამახვილა. 30 წლის ბელგიელი დიზაინერის ძირითადი მესიჯი, მარია გრაცია ქიურის მსგავსად, ულტრაფემინურ ▶ ხასიათს ატარებდა.

ამ სეზონზე, ფაქტობრივად, ოფიციალურად წაიშალა ზღვარი ფემინურ ესთეტიკასა და სპორტულ თუ ავანგარდულ სტილს შორის

2017 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის ETRO-მ საკუთარ თავსაც კი აჯობა და ყველაზე ბოჰემური, ეკლექტური და სახასიათო კოლექცია შემოგვთავაზა. ეთნოდეტალები და Tribal ორნამენტები ბრენდის კოლექციას არც აქამდე აკლდა, თუმცა ამჯერად ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და პუბლიკას ყველაზე დაუვიწყარი შოუ აჩუქა.

LANVIN-ი პარიზში ყველაზე ძველი და განსაკუთრებული ისტორიის მქონე მოდის სახ-ლია. ბრენდის მართვის სადავეები, ალბერ ელბას შემდეგ, ბუშრა ჟაღარმა გადაიბარა. ქალბატონმა, რომელიც აქამდე GAULTIER-ისა და BALENCIAGA-ს არტისტულ კოლექტივში მოღვაწეობდა, კლასიკურ ფრანგულ სტილს გამოკვეთილი და სახასიათო შტრიხები შემატა. 1920-1930-იანი წლების ესთეტიკა და Old School ჰოლივუდის გავლენები ჟაღარმა საკმაოდ წარმატებით გარდაქმნა Chic-პიჯაკებად, კომბინეზონებად და გამჭვირვალე კაბებად. ფერების თვალსაზრისით, კოლექციის ძირითადი ხაზი თეთრსა და შავს გულისხმობდა, თუმცა ვიხილეთ ელექტრიკი ლურჯი დეტალებისგან შექმნილი რამდენიმე LOOK-იც.

ნიუ-იორკის შემდეგ, რიანამ ამჯერად პარიზში წარმოადგინა PUMA-სთან კოლაბორაციის ფარგლებში შექმნილი საკუთარი კოლექცია, რომელიც კაპიუშონიანი „ჰუდებით“, სპორტული შარვლებითა და საკმაოდ ორიგინალური ფეხსაცმლით იყო დაკომპლექტებული.

ამ სეზონზე, CHANEL-მა უარი თქვა ინსპირაციის წარსულ ეპოქებში ძიებაზე და შთაგონების ძირითად წყაროდ მომავალი და ფუტურისტული ტექნოლოგიები შეარჩია. კარლ ლაგერფელდმა ბრენდის სავიზიტო ბარათადქცეულ ტვიდის ფაქტურებთან ერთად პოდიუმზე 3D პრინტები და ფსიქოდელიური სიჯრელეც წარმოგვიდგინა. საკმაოდ ძლიერი ენერგეტიკის მქონე კოლექციით, გერმანელმა დიზაინერმა მიგვანიშნა, რომ მოდურ ტენდენციებს წარსული კი არა, მომავალზე სწორად ფოკუსირებული აწმყო ქმნის.

ცხადია, ზაფხული წარმოუდგენელია მინიქვედაბოლოების გარეშე. მიმდინარე სეზონზე დიზაინერებმა ამ მნიშვნელოვანი სამოსის უპრეცედენტოდ მრავალფეროვანი სპექტრი წარმოგვიდგინეს. უხეში „ელვებით“, მეტალის დეტალებით, ქამრებით, არშიებითა თუ ორნამენტებით გაფორმებული ქვედაბოლოები ყველა კოლექციაში

თუ კოლექციებს თვალს აქტიურად ადევნებდით, მარტივად შეატყობდით, რომ ჯინსის სამოსი კვლავაც საოცრად მოდური და აქტუალურია

საოცრად დახვეწილი და სექსუალური იყო. როდესაც ბრიტანელმა დიზაინერმა MARY QUANT-მა 1962 წელს პირველად წარმოადგინა Mini Skirt-ის კონცეფცია პოდიუმზე, ვერავინ იფიქრებდა, რომ ეს რევოლუციური ნაბიჯი ათწლეულების შემდეგ ყველაზე პოპულარულ Casual-სტილად ჩამოყალიბდებოდა.

ქვედაბოლოებთან ერთად, გამორჩეულად აქტუალური იყო განიერი მხრები. არქიტექტურული ფორმებითა და მკაცრი გეომეტრიული ფიგურებით შთაგონებულმა დიზაინერებმა პიჯაკებს, ლაბადებსა და ბლუზებს საკმაოდ მოულოდნელი და არაორდინარული სტილის მხრები მოარგეს.

სეზონის კიდევ ერთი ჰიტი აბრეშუმის ღამის პერანგებისა და საღამურების Casual-სტილის სამოსად ქცევაა. საცვლებისა და ბიუსტჰალტერების ყოველდღიურად თამამად ტარებისაკენ დიზაინერები ყოველგვარი მორიდების გარეშე მოგვიწოდებენ.

საკმაოდ ინოვაციური და მოულოდნელი ნაბიჯი იყო „ლეგინგების“ აკადემიური სტილის სამოსად ქცევა. აქამდე სპორტულ სტილთან ასოცირებადი სამოსი ცნობილმა მოდის სახლებმა ამჯერად გამოსასვლელ პიჯაკებსა და დახვეწილი დიზაინის ბლუზებს შეუხამეს.

ცხადია, ეს სეზონი უამრავ მოდურ სიახლესთან ერთად კლასიკადქცეული ფაქტურებისთვის კიდევ ერთხელ პატივის მიგებასაც გულისხმობდა – თუ კოლექციებს თვალს აქტიურად ადევნებდით, მარტივად შეატყობდით, რომ ჯინსის სამოსი კვლავაც საოცრად მოდური და აქტუალურია.

ამ სეზონზე, ფაქტობრივად, ოფიციალურად წაიშალა ზღვარი ფემინურ ესთეტიკასა და სპორტულ თუ ავანგარდულ სტილს შორის. გლამური, ფუტურისტული აქცენტები და Boho Chic სტილი ერთმანეთს საოცრად ჰარმონიულად შეერწყა.

რაც შეეხება აქსესუარებს, გამოკვეთილად საინტერესო იყო ჩანთების დიზაინი – VALENTINO-მ და HERMÈS-მა მინიატურული კლატჩები შემოგვთავაზეს, LOEWE-მ და BALENCIAGA-მ კი დიდი ზომის ავანგარდული ჩანთები. CELINE-მა კარგად დამუშავებულ ტყავზე გაამახვილა აქცენტი, LOUIS VUITTON-მა კი – ნაქარგებსა და ორნამენტებზე.

TRENDS

CHLOE

DOLCE & GABBANA


ALEXANDER MCQUEEN

SPRING BLOSSOM

ყვავილებიანი პრინტები საზღვაო სეზონისა და გაზაფხულის თბილი ამინდების განუყრელი ატრიბუტია. თხელი საზაფხულო სარაფნები, ფერადი ბლუზები და აქსესუარები – ამ სეზონზე ყვავილები თითქმის ყველგან გვხვდება. შეუხამეთ Flower-პრინტებიანი სამოსი დენიმს, ჩალის საზღვაო ჩანთებსა და ფერად აქსესუარებს.

BLUGIRL


ERDEM

ISABEL MARANT

TEMPERLEY LONDON

DELPOZO


HOUSE OF HOLLAND

JW ANDERSON

BUBBLEGUM PINK

მკვეთრი ჟოლოსფერი, თბილი იისფერი და სექსუალური იასამნისფერი – ვარდისფრის ნებისმიერი ტიპის გრადაცია, საოცრად მოდურთან ერთად, საკმაოდ ეფექტური და თვალშისაცემიცაა. სადა Off the shoulder სარაფნები, ნაქარგებიანი ვარდისფერი კაბები ვიქტორიანული ეპოქის სტილში, მონოქრომული პიჯაკები და შარვლები პრინტებით – დიზაინერებმა ვარდისფერი ყველა სტილს კარგად მოარგეს.

VALENTINO

TEMPERLEY LONDON

PREEN

CHANEL

MAX MARA

IT WAS ALL YELLOW

გასაკვირი არაა, რომ თბილი და მზისფერი ყვითელი საზაფხულოდ საკმაოდ აქტუალურია. ტონი, რომელიც განსა-კუთრებით უხდება რუჯსა და საზღვაო სეზონს, თქვენს სეზონურ გარდერობს საოცრად მხიარულსა და ფერადს გახდის. შეიძინეთ ამ ფერის სარაფნები, ტოპები, თხელი პიჯაკები, და შეუხამეთ სხვადასხვა პრინტსა და დენიმს.

MARY KATRANTZOU

ERDEM

JASPER CONRAN

ELIE SAAB


ETRO

FENDI

WALK THE LINE

ერთმანეთში გარდამავალი ცისარტყელას ფერები, გრაფიკული სილუეტები და მკაცრი გეომეტრიული ხაზები, მეზღვაურების უნიფორმები – ზოლები ამ სეზონზე უამრავი ვარიაციით გვხვდება მოდურ ტენდენციებში და აქტუალურია როგორც ფორმალურ, ასევე Casual სტილში. თამამად შეუხამეთ ერთმანეთს განსხვავებული სტილის ზოლიანი სამოსი და არც პრინტებთან არევაზე თქვათ უარი.

ROBERTO CAVALLI

LANVIN

MAX MARA

ETRO

BURBERRY

JUNGLE GREENERY

ველური ბუნების ესთეტიკის მოდურ ტენდენციად გადაქცევა 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის დიზაინერებმა საკმაოდ ორიგინალურად მოახერხეს. ტროპიკული ტყეებისა და ამაზონის ჯუნგლების ინსპირაციით შექმნილ სამოსში ძირითადად ჭაობისფერი, მწვანე ფერის გრადაციები, აგურისფერი და ბეჟისა თუ ყავისფრის განსხვავებული ტონალობები დომინირებს. ამ სტილის სამოსს სხვებისგან ეგზოტიკური ყვავილებისა და ველური მცენარეების პრინტებითაც გამოარჩევთ.

SALVATORE FERRAGAMO

SIMONE ROCHA

CAROLINA HERRERA

DIOR

ELIE SAAB

ELIE SAAB

STARS AND HEARTS

ფერადი ვარსკვლავებით დაპრინტული პერანგები და კოქტეილის კაბები ცალსახად 1960-იანი წლების სტილითაა შთაგონებული. ტრენდი, რომელიც საოცრად გადაახალისებს თქვენს საზაფხულო გარდერობს, მხოლოდ ვარსკვლავების ორნამენტებს არ გულისხმობს – დიზაინერები გულის ფორმის ნაქარგებსა და დეკოლტეებსაც უხვად გვთავაზობენ.

RODARTE

MICHAEL KORS

PROENZA SCHOULER



MARY KATRANTZOU



MARC JACOBS

PSYCHODELIC ART

ერთმანეთში გარდამავალი ფერები, თავბრუდამხვევი გეომეტრიული ფორმები, კალეიდოსკოპის ეფექტი დე-ლიკატურ ფაქტურებზე – სამოსი, რომელიც აბსტრაქტულ ფერწერულ ტილოს მოგაგონებთ, ზაფხულის საღამოე-ბისთვის იდეალური არჩევანია. გაამახვილეთ აქცენტი მაქსიმალურ სიჭრელესა და თამამ პრინტებზე – ზაფხულს ყველაზე მეტად სწორედ ასეთი სტილის სამოსი უხდება.



GARETH PUGH

EMILIO PUCCI

CHANEL

PRADA

MONIQUE LHUILLIER

PRABAL GURUNG

LIGHT AS A FEATHER

ბუმბულები უკვე რამდენიმე სეზონია განსხვავებული დოზითა და სტილით გხვდება პოდიუმზე. ამჯერად კი ბუმბულებით გაწყობილი თხელი საბაფხულო ბლუზები, შიფონის დახვეწილი გრძელი კაბები და ყოველდღიური ტოპებია მოდური. ამ სტილის მორგების მთავარი საიდუმლო ზომიერებაა – ეცადეთ არ შეუხამოთ ორი განსხვავებული ბუმბულებიანი ნივთი ერთმანეთს. აქცენტი სისადავესა და მინიმალიზმზე გაამახვილეთ.


RALPH LAUREN

ROKSANDA LLINCIC


OSCAR DE LA RENTA

RALPH LAUREN

BOHEMIAN NIGHTS

ქუჩის მოდის უცვლელი ტრენდი, ბოჰემური სტილი, ალბათ მოდიდან უკვე აღარასოდეს გადავა. 1970-იანი წლების აქცენტები, ჰიპების ესთეტიკა და ეთნოდეტალები განსაკუთრებით აქტუალური ხდება ზაფხულში, მუსიკალური ფესტივალების სეზონისთვის. გრძელი ფოჩებიანი კიმონოები და პონჩოები, დენიმის ვინტაჟური შორტები, მასიური სამკაულები და ფერადი ტოპები BOHO CHIC სტილის ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტებია.

PETER PILOTTO

ETRO

RPOBERTO CAVALLI

PRADA

BURBERRY

COLOURED OVERLAPS

კორსეტები შუა საუკუნეებში ალბათ არ ყოფილა ისეთი აქტუალური, როგორც ბოლო 2 სეზონზე. სხეულის კონტურების გამომკვეთი აქსესუარი, რომელსაც ქალბატონები სამოსის შიგნით ატარებდნენ, ახლა სულ სხვა დანიშნულებით გამოიყენება – პერანგებზე გადაცმული კორსეტები და ტოპები, ბრეტელიანი კაბები მაისურებს ზემოთ და პერანგზე შემორტყმული მსხვილი სარტყელები ფაქტობრივად კორსეტის ახლებური, თანამედროვე ვარიაციაა.

GIVENCHY

ANTONIO BERARDI

GUCCI


VIVIENNE WESTWOOD

SINGLE SHOULDERS

გასული ზაფხულის HIT-ტრენდის – Off the shoulder სტილის მხრების შემდეგ, ამჯერად ცალმკლავიანი კაბები და ბლუზებია მოდური. ტენდენციას, რომელსაც აშკარად ატყვია 1980-იანი წლების გავლენა, ამჯერად ცოტა ფუტურისტული აქცენტებიც დაკრავს. ცალი მკლავი მოდურია როგორც მკაცრ შავ კაბებსა და კომბინეზონებზე, ასევე არშიებითა თუ მეტალიკის ფაქტურით შექმნილ, ავანგარდულ მინიკაბებზე.

STELLA McCARTNEY


YVES SAINT LAURENT


VIVIENNE WESTWOOD

THIERRY MUGLER

ERMANNO SCERVINO

DELPOZO

HOUSE OF HOLLAND


JW ANDERSON

MILITARY JACKETS

სამხედრო უნიფორმა მოდურად ჯერ კიდევ 1990-იან წლებში იქცა და დღემდე რჩება ქუჩის მოდის ერთ-ერთ გამორჩეულ ტენდენციად. ამჯერად სხვადასხვა ეპოქებისთვის დამახასიათებელი მუნდირები და ოფიციალური სამოსი მოულოდნელად გადაიქცა ზაფხულის წამყვან ტრენდად. თვლებით, მბზინვარე დეტალებითა თუ ნაქარგებით და ორნამენტებით გაფორმებული სამხედრო პიჯაკები და ლაბადები ჯინსთან ერთად, კლასიკურ საღამოს კაბებთანაც შეგიძლიათ მოირგოთ.

ETRO


LOUIS VUITTON


GUCCI

GUCCI

DOLCE & GABBANA

CAROLINA HERRERA

THE POWER OF DENIM

ჯინსი ალბათ ყველა ქალბატონის გარდერობში შეუცვლელ ადგილს იკავებს. დენიმის ქურთუკები, შარვლები და შორტები ნებისმიერ სტილთან შეგიძლიათ მოირგოთ და სწორედ ამიტომ, ეს ფაქტურა უკვე ათწლეულებია უნიკალური და უნივერსალურია. ამ სეზონზე გამორჩეულად მოდურია HEAD TO TOE ჯინსის LOOK-ები და თქვენ წარმოიდგინეთ, დენიმით შექმნილი კლასიკური კაბები, კორსეტები და მკაცრი პიჯაკებიც.

ANDREW GN

STELLA McCARTNEY

FENDI

ROCHAS

DIOR

FAIRY TULLE

საოცრად ნაზი ფაქტურებისა და გამორჩეულად დახვეწილი პასტელური ტონების შეხამება 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის ყველაზე ზღაპრული ტენდენციაა. იგრძენით თავი ნამდვილ პრინცესად თხელი შიფონისა და Tulle-ს გამჭვირვალე დელიკატური კაბების, ბლუზებისა და ქვედაბოლოების დახმარებით, თამამად შეუხამეთ ერთმანეთს ნაზი მონოქრომული ტონები.



JENNY PACKHAM

DELPOZO

HELLO! GEORGIA

შეიძინეთ ჟურნალის ელექტრონული ვერსია

იკითხეთ HELLO! მთელ მსოფლიოში

სმარტფონებზე, პლანშეტებზე
და პერსონალურ
კომპიუტერებზე

ჩამოტვირთეთ
ქართული **HELLO!**
მსოფლიოს უმსხვილესი
დახლებიდან

ZINIO და MAGZTER

Google play
App Store

დამატებითი
ინფორმაციისათვის
დაგვიკავშირდით
info@hellomagazine.ge

CHANEL

Შეგენდარული ფრანგული მოდის სახლისთვის თეატრალიზებული შოუები უკვე ტრადიციად იქცა. ბრენდის კრეატიულმა ხელმძღვანელმა – **კარლ ლაგერფელდმა** 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის მთავარ ინსპირაციად თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიები შეარჩია. მკაცრი ფუტურისტული აქცენ-ტებით გაჯერებული კოლექციის წყალობით, პოდიუმზე ფაქტობრივად მომავალი გაცოცხლდა. 3D პრინტები, ფსიქოდელიური სიჭრელე, Tomboy-ს ესთეტიკა და ტვიდის ფაქტურები ერთმანეთს საკმაოდ ჰარმონიულად შეერწყა. საოცრად ფემინურ და ამავდროულად ანდროგენურ კოლექციას ძალიან მოუხდა კეპი ქუდები და მასიური სამკაულები. ფუტურისტული სილუეტებისა და ფაქტურების დახმარებით, ლაგერფელდმა საკმაოდ თამამი მესიჯი მოიტანა საზოგადოებამდე – მესიჯი იმის შესახებ, რომ მოდის სამყარო კრეატიული ექსპერიმენტებისა და ინოვაციების საუკეთესო პლატფორმაა.

1 2 3

CHANEL

1. CHANEL-ის სავიზიტო ბარათადქცეული ტვიდის პიჯაკები და ქვედაბოლოები ამ კოლექციაშიც უხვად ვიხილეთ.
2. ტყავის ბომბერი ფერადი ნაკერებითა და შარვალი ჯაჭვის ქამრით – Chic სპორტული სტილის Duo-ს ლაგერფელდმა ტვიდის კეპი შეუხამა.
3. ტვიდისა და ორგანზის ფერადი ჟილეტი გულზე ყვავილის ბროშით ძალიან კარგად შეეხამა მასიურ სამკაულებსა და ვერცხლისფერ ჩანთას.
4. კონტრასტული პრინტების საკმაოდ წარმატებული კომბინაცია – ტვიდის სვიტერი, რომელიც ლაგერფელდმა ტვიდისავე ქვედაბოლოსთან ერთად წარმოადგინა, ჯინსის შარვალსაც ძალიან მოუხდება.
5. Head to toe ტვიდის სამოსი კლასიკურთან ერთად საკმაოდ ავანგარდულიც შეიძლება იყოს, სწორად შერჩეული აქსესუარებისა და სამკაულების დახმარებით.

4

5

1 2

3 4

5

CHANEL

კოლექცია ძალზე საინტერესო იყო ფერთა გრადაციების თვალსაზრისით. ვიხილეთ ნათელი ტონალობები და ფორმები (*1, 2*). პასტელის ნაზი ფერები, სექსუალური სილუეტები (*3, 4*) და საოცარი ოსტატობით შესრულებული ნაქარგები თუ ორნამენტები (*5*).

aro mate que

niche boutique

LUTECIA GROUP

NICHE BOUTIQUE
Address 17 Shavteli str.
0105 Tbilisi, Georgia
Hotel Ambassadori

2017 წლის გაზაფხული-ზაფხული **DIOR**-ის კოლექციებს შორის ყველაზე გამორჩეული და დასამახსოვრებელი იყო. ბრენდის ახალი კრეატიული ხელმძღვანელის – **მარია გრაცია ქიურის** სადებიუტო შოუ ფრანგული ბრენდისთვის სრულიად ახალი ეპოქის დასაწყისად იქცა. კოლექციაში ყველაზე მოულოდნელი და უჩვეულო, დიდი დოზით სიშიშვლე გახლდათ. კლასიკური სილუეტის გამჭვირვალე კაბებს ქიურიმ ლოგოებიანი საცვლები შეუხამა და ამით თითქოს მიგვანიშნა, რომ საკმაოდ თამამი და სექსუალური სამოსის ტარება ქალბატონებს ყოველდღიურადაც შეუძლიათ. ფემინისტური მოტივებით გაჯერებულ ჩვენებას ყველა დეტალზე შეატყობდით, რომ ბრენდის ისტორიაში პირველად, **DIOR**-ს სათავეში ქალბატონი უდგას. **მარია გრაცია** პირველი ქალია, რომელმაც ეს საპასუხისმგებლო თანამდებობა დაიკავა.

ADIOS
ADIOS

DIOR

გამჭვირვალე ქვედაბოლო ზღაპრული ნაქარგებითა და თვლებით – **მარია გრაცია ქიურის** სამოსი აქცენტს შიშველი სხეულის აფიშირებაზე ამახვილებს (*1*). კორსეტიანი კაბა სადა ბრეტელებითა და პრინტებით ზაფხულის უკონკურენტო Must Have-ია (*2*) – ისევე, როგორც Statement კლატჩი მასიური ქამრის საკიდით (*3*). თუ კარგად დააკვირდებით, შეამჩნევთ, რომ პრინტები და ორნამენტები არცერთხელ არ მეორდება – თითოეული მათგანი უნიკალურია (*4*).

1

2

3 4

DIOR

ქიურის „ქალი“ 2017 წლის ზაფხულისთვის საკმაოდ სპონტანური და არაპროგნოზირებადია, რომელიც თავის მხრივ აქცენტს მაქსიმალურ სიშიშვლეზე ამახვილებს, თუმცა მკაცრ და მინიმალისტურ შავ სამოსსაც იდეალურად ირგებს (*1*). არ უშინდება თამამ პოლიტიკურ განცხადებებს და Statement making სლოგანებით დაპრინტულ მაისურს ამაყად ატარებს (*2*); ხაზს უსვამს საკუთარ ძლიერ ხასიათს და ჯავშანჟილეტის ტიპის ტყავის ტოპსა და მინიქვედაბოლოში თავს საკმაოდ კომფორტულად გრძნობს (*3*), იგივე ტოპს კი მომდევნო LOOK-ში თეთრ პერანგს უხამებს (*4*).

3
4
CD

1, 2, 3 ჰაეროვანი სილუეტები, გამჭვირვალე ფაქტურები და დელიკატური ბრჭყვიალი საკმაოდ კარგად ეხამება თვალშისაცემ პრინტებს, რომელთა დახმარებით სამოსზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ულამაზესი სურათი ცოცხლდება. კოლექციას, სწორედ ამ პრინტებისა და ნაქარგების წყალობით, 1960-იანი წლების ნიუიორკის ესთეტიკის ელფერიც დაჰკრავს. ამ სეზონზე **ELIE SAAB**-მა პირველად წარმოადგინა სათვალეების საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანი არჩევანი. კოლექციის თითოეულ LOOK-ს შესაბამისი მასიური სათვალე ჰქონდა შეხამებული – როგორც მოდური ქალბატონის იმიჯის მნიშვნელოვანი დეტალი.

1

2

ELIE SAAB

ELIE SAAB

1. ბრჭყვიალა ტუქსედო შავი აბრეშუმის საყელოთი და შესაბამისი შორტით საზაფხულო წვეულებებისთვის იდეალური LOOK-ია.
2. ტყავის დიდი ზომის ჟილეტის დელიკატური თვლებით გაწყობილ სექსუალურ კომბინეზონთან შეხამება **SAAB**-ის მხრიდან საკმაოდ მოულოდნელი გადაწყვეტილება იყო.
3. საქმიანი ქალბატონის მოდური სეზონური გარდერობი – კლასიკური შარვალი და პიჯაკი გრაფიკული დეტალებით.
4. ავიატორის უნიფორმის ინსპირაციით შექმნილი კრემისფერი კომბინეზონი, ანდროგენულთან ერთად, საკმაოდ ფემინურიცაა.
5. ვარსკვლავებიანი პრინტები და ორნამენტები შოუს მთლიანი ესთეტიკის განუყოფელი კომპონენტია.

4

5

ELIE SAAB

კოლექციის გამორჩეულად მომხიბვლელი ნაწილი განსხვავებული სტილისა და ფაქტურის სექსუალური მინიკაბები იყო.

1. მინიმალისტურ შავ კაბას უსწორმასწორო სიგრძემ და უხეშმა „ელვამ“ საკმაოდ ავანგარდული ელფერი მიანიჭა.
2. მიუხედავად იმისა, რომ კოლექცია ძალზე განსხვავებული იყო ლიბანელი დიზაინერისთვის დამახასიათებელი ხელწერისგან, **SAAB**-მა ჩვეული მდიდრული ფაქტურებიც შემოგვთავაზა, თუმცა – ზომიერად.
3. ბრჭყვიალა ვარსკვლავებითა და თვალშისაცემი დეტალებით გაწყობილ კაბას ძალიან მოუხდა ვარსკვლავების პრინტებიანი საზაფხულო სანდლები.
4. მდიდრულ კაბას მეტალიკის ტონალობაში, გამჭვირვალე ბომბერმა უფრო პანკური Rebel-სტილი შესძინა.

1

2

3
4

ISABEL MARANT

Ზარიზული ელიტის ახალგაზრდა თაობისთვის გამორჩეულად საყვარელი ფრანგი დიზაინერი ამჯერადაც ეკლექტური კოლექციით წარდგა საზოგადოების წინაშე.

1. მინიკაბა ამოჭრილი დეტალებითა და ბოჰემური ელემენტებით, ზაფხულის იდეალური უნიფორმაა.
2. თეთრისა და შავის გრაფიკული სინთეზი და მეტალიკის სანდლები – **ISABEL MARANT**-ის ფეხსაცმელი ყოველთვის გამორჩეულად დასამახსოვრებელია.
3. განსხვავებული ყვავილებიანი პრინტების კომპლექსური კომბინაცია – ტყავის შორტი და ბლუზა.
4. მკვეთრი წითელი მინიკაბა წელზე სარტყელებით, საკმაოდ თამამი და სექსუალური LOOK-ია.

1

2

3

4

VALENTINO

ბასულ სეზონზე, ბრენდის ორი მთავარი ფიგურის – **მარია გრაცია ქიურისა** და **პიერ პაოლო პიკიოლის** შემოქმედებითი გზები გაიყო, ხოლო ქიურიმ **DIOR**-ის კრეატიული ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა. სწორედ ამ საკადრო ცვლილების გამო, მოდის მოყვარულები **VALENTINO**-ს შოუს განსაკუთრებული ინტერესით ელოდნენ. 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია **პიერ პაოლო პიკიოლიმ** დამოუკიდებლად, მისი მრავალი წლის პარტნიორის გარეშე, პირველად წარმოადგინა.

VALENTINO

პიერ პაოლო პიკიოლი რენესანსის ეპოქის ესთეტიკის მოყვარულია და ეს ფაქტი მის კოლექციებს ყოველთვის ეტყობა. დიზაინერს Haute couture კოლექციების შექმნის დიდი გამოცდილება აქვს და სწორედ ამიტომ, მისი სამოსი ყოველთვის გამორჩეულად მდიდრული და დახვეწილია. 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის ჩვენებით, პიკიოლიმ საკუთარ უნიკალურ კრეატიულ ხედვას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და საზოგადოებას დაუმტკიცა, რომ **VALENTINO**-ს დამოუკიდებლადაც შესანიშნავად უძღვება.

VALENTINO

რენესანსულ სილუეტებთან ერთად, ამ სეზონზე დიზაინერმა ინსპირაციად 1970-იან წლებში პოპულარული ბრიტანელი დიზაინერის – **ზანდრა როუდსის** შემოქმედება აირჩია. ხელით შესრულებული უნიკალური დეტალების, ნაქარგებისა და ორნამენტების მეშვეობით, **VALENTINO**-ს კოლექცია დელიკატური, ფემინური და საოცრად მდიდრული გახლდათ.

VALENTINO

კოლექციამ ვიქტორიანული ეპოქისთვის დამახასიათებელი სილუეტები და ბოჰემური, ჰაეროვანი სტილი გააერთიანა. საკმაოდ ზომიერად იყო გამოყენებული ტყავი, მაქმანები და პრინტები. წარმოუდგენელია გვერდი ავუაროთ აქსესუარებს – პიკიოლიმ თითქმის ყველა LOOK-ს მინიატურული გადასაკიდი ჩანთები მოარგო.

BNO
თავდაჯერებული
ქალბატონების
არჩევანი!
მაღაზია IXXS
ალ. ყაზბეგის გამზ. 24
SHOPING@AXIS
ტელ.: 032 231 25 33
IXXS

GIAMBATTISTA VALLI

1

2

ბავი და Floral პრინტები – ასე გაიყო 50/50-ზე **GIAMBATTISTA VALLI**-ს 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის ლაღი და ფერადოვანი კოლექცია.

1. ყვავილების რომანტიკული პრინტები და სექსუალური მაქმანებიანი ტოპი-ბიუსტჰალტერი იდეალური საზღვაო LOOK-ია.
2. გაშლილი ქვედაბოლო ბალერინას სტილში და პასტელის ცისფერი ბომბერი – მოულოდნელი, თუმცა გემოვნებიანი კომბინაცია.
3. ყვავილებიანი პრინტის ბოჰემური სტილის სარაფანს Off the shoulder მკლავებით მკვეთრად ეტყობა ბოჰემური Chic-ის ესთეტიკის გავლენა.

3

GIAMBATTISTA VALLI

1, 2. Head to toe შავი სამოსი და ბიუსტჰალტერი, როგორც ყოველდღიური სამოსი – **GIAMBATTISTA VALLI** წლევანდელი ზაფხულისთვის გვირჩევს ზომიერად თამამი ვიყოთ
3. თეთრი კაბა კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე რომანტიკული და ჰაეროვანი LOOK-ი გახლდათ.
4, 5. ცხადია, ზაფხული წარმოუდგენელია ყვავილების გარეშე – **GIAMBATTISTA VALLI** წელს Low-toned პრინტების ტარებას გვირჩევს.

4

5

GIAMBATTISTA VALLI

1, 2. თამამი და სექსუალური Nude სტილი საკმაოდ კარგად მოირგო სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა. შავ სამოსს ამ კოლექციით **GIAMBATTISTA VALLI**-მ სრულიად ახალი სიცოცხლე და მნიშვნელობა შესძინა.

3. დელიკატური ტოპი პრინტებით და მასიური ყელსაბამი ვინტაჟურ სტილში – Smart Casual სტილის შესანიშნავი მაგალითი.

4. კიდევ ერთი ჰაეროვანი სარაფანი საზაფხულო ფერებში – შეხამებული შესაბამის გლადიატორის სტილის სანდლებთან.

1

2

3

4

CHLOE

ჟოლექციას, ტრადიციულად, ახლდა ბოჰემური სილუეტები, ჰიპების ესთეტიკა, სიჭრელე, და მუსიკალური ფესტივალებისთვის იდეალური LOOK-ები. სამოსს კარგად ეტყობოდა ჩვეული ხელწერა, თუმცა შეტანილი იყო სრულიად ახლებური დეტალები და შტრიხები.

1

2

3

CHLOE

1. ბოჰემური კაბა **CHLOE**-ს ტრადიციულ სტილში და სეზონის ჰიტი ჩანთა რკალი-საკიდით – ცხადია, ფერების ზუსტი შეხამებით.
2, 3. ზამშეს LOOK-ები საფარის სტილში, და ყვითელისა და აგურისფრის თბილი ტონები – **CHLOE**-ს „ქალი“ საზაფხულოდ რომანტიკული და პრაქტიკული სამოსის ტარებას ირჩევს.

OLAPLEX®

დაგლვევა თქვენი თმისთვის

პრემიუმ კლასის სერვისი
თქვენს სალონებში

OLAPLEX გახდის თქვენს თმას
უფრო ძლიერს და ჯანსაღს,
ხოლო ფერს უფრო მდგრადს

ოფიციალური წარმომადგენელი
PROF BEAUTY
facebook.com/professionalbeauty.ge

PROF BEAUTY (ისთ ფოინთი); **FRANK PROVOST** (აბაშიძის ქ. 22); **PALAZZO PRIVE** (ფალიაშვილის ქ. 43); **ბლაშ** (ვაჟა-ფშაველას გამზ. მე-2 კვარტალი, მე-2 კორპუსი); **ლე ბიურო** (ცინცაძის ქ. 3); **ექსელენსი** (ფალიაშვილის ქ. 44/5); **ვიზაჟი** (ჯანაშვილის ქ. 5/7); **ირინა** (იოსებიძის ქ. 61); **მელანჟი** (ფალიაშვილის ქ. 72); **ბონიტა** (პეკინის გამზ. 15); **მილანო** (ყიფშიძის ქ. 13); **ლა ტრუფე** (თამარაშვილის ქ. 4ა); **საკურამი** (ყიფშიძის ქ. 2); **დესანჟი** (აბაშიძის ქ. 3); **რესპექტი** (თაქთაქიშვილის ქ. 11); **დერმა** (ყაზბეგის გამზ. 25ა); **ქალთა ბედნიერება** (გამსახურდიას გამზ. 7, აღმაშენებლის გამზ. 95); **ანასტასია** (პეკინის 37); **ამბრელა** (ხმელინცკის ქ. 153); **კლასი** (პეკინის გამზ. 22); **შაკო საჰაია** (ფალიაშვილის ქ. 3, კოსტავას ქ. 37/39); **პოდიუმი** (ფალიაშვილის ქ. 41, ვეკუას 3, ქავთარაძის ქ. 1 (გუდვილი)); **დანილი** (პეკინის გამზ. 34)

LANVIN

ამ სეზონზე, **DIOR**-ის მსგავსად, **LANVIN**-მაც შემოგვთავაზა დიდი დოზით სიშიშვლე და გამჭვირვალე სტილი.

1. მოდელებმა შიფონის შავი სარაფნები შიშველ სხეულზე მოირგეს.
2. კარლი კლოსის LOOK-ი გამჭვირვალე კაბაზე გადაცმულ აბრეშუმის პერანგსა და შავ კლასიკურ პიჯაკს გულისხმობდა.
3. მასიური პრინტები, სიჭრელე და სამკაულები, როგორც ზაფხულის განუყრელი ატრიბუტი.
4. LANVIN-მა ჩვეული სტილის შავი ელეგანტური კაბებიც შემოგვთავაზა.

1

2

3

4

LANVIN

1. გამჭვირვალე კაბა შიშველ სხეულზე და ზემოდან შემორტყმული ქამარი-ქვედაბოლო ტყავის შესაკრავებით.
2. ლაქის მინიქურთუკი და კიმონოს სტილის აბრეშუმის პერანგი, რომელიც მოდურ „შიშველ დეტალებსაც“ შეიცავდა.
3. კლასიკური ასიმეტრიული კაბა თამამი დეკოლტეთი და მეტალის ორმაგი ქამრით.

უბრალოდ თაიგულზე მეტი

ყვავილების მაღაზია-სალონი და ივენთ კომპანია „მონტაგო“

დ. გამრეკელის ქუჩა 20, თბილისი

მობ.: 551 06 33 22; FB: MonTa&Go მონტაგო; INSTAGRAM: montagoflowers

www.montago.ge; montagoflowers@yahoo.com

HERMÈS

ფრანგული მოდის სახლის კოლექციები ყოველთვის გამოირჩევა ერთი იდეისა თუ კონცეფციის გარშემო გაერთიანებული სამოსით. ამჯერად კი ეს თემატიკა ნაზი პასტელის ფერებზე, დიდი დოზით ტყავის სამოსსა და გამოყვანილ წელზე აქცენტს გულისხმობდა.

1. ვარდისფრის ტონები საკმაოდ კარგადაა გადათამაშებული მკაცრი, „ელვიანი“ პერანგისა და მაღალწელიანი შარვლის კომბინაციაში.

2. ღია ატმისფერი კომბინეზონი დახრილი „ელვებითა“ და ჯიბეებით **HERMÈS**-ისეული Casual-სტილის კარგი მაგალითია.

3. წელზე მოტკეცილი კაბა გაშვებული მხრებით, ქამრის წყალობით უფრო მეტად ამახვილებს ყურადღებას სხეულის გამოყვანილ ფორმებზე.

4. ბეჟი და აგურისფერი **HERMÈS**-ის კოლექციებში ყოველთვის დიდი დოზით გვხვდება. ყავისფერი შიფონის პერანგი ყვითელი და ნარინჯისფერი ლაქებით, ძალიან უხდება მაღალწელიან, მკაცრი სტილი შარვალს.

5. Statement-ლაბადა, რომელიც ყოველდღიურ სტილთან ერთად საქმიან და აკადემიურ LOOK-საც გაახალისებს, კოლექციის კიდევ ერთი Highlight-ია.

4

5

1

2

HERMÈS

1. ფერთა ყველაზე კლასიკური შეხამება – შავ-თეთრი მკაცრი გრაფიკული პრინტები კაბაზე და შავი შემოსაცმელი.
2. ბრენდი, რომელმაც ყველა დროის ყველაზე ლეგენდარული ჩანთა „ბირკინი“ შექმნა, გასაკვირი არაა, რომ ტყავზე გამორჩეული ოსტატობით მუშაობს.
3. კრემისფერი ტყავის დუო ფორჩებით – კლასიკური ფერისა და მოულოდნელი სტილის სინთეზი.
4. ისევ და ისევ თეთრისა და შავის დუეტი – ამჯერად ტყავის მატრიცული სტილის მკაცრი ლაბადისა და თეთრი, კოჭამდე „ლეგინგების“ კომბინაცია.

3

4

LOUIS VUITTON

ბრენდის კრეატიულმა დირექტორმა – **ნიკოლა გესკიემ** კოლექცია ტრადიციულად პარიზში წარმოადგინა. ფრანგული მოდის ეპიცენტრი ქალაქი შოუს მასპინძელთან ერთად მისი მთავარი შთაგონების წყაროც გახლდათ. პარიზული Chic-სტილი და თავად ქალაქი, როგორც არტისტული ენერგეტიკის მექა, გესკიემ კოლექციაში საკმაოდ კარგად გამოიყენა.

1. დიდი ზომის შავი სვიტერი საყელოზე მეტალის დეტალებით და მკვეთრი მწვანე შარვალი, ნამდვილად პარიზელი ქალბატონების გარდერობის ინსპირაციით იყო შექმნილი.

2. გესკიემ გობელენის ტიპის ნაქარგებიან შარვალს ბრჭყვიალა თხელი ნაქსოვი ბლუზა შეუხამა.

3. ამ LOOK-ის მთავარი ღირსება კაბის ცალ მკლავზე მეტალიკის დეტალები და ოქროსფერი ფეხსაცმელია.

4. კვლავაც გობელენის აქცენტები, მასიური სამკაული და სვიტერი განიერი მხრებით.
5. მუქი იასამნისფერი კომბინეზონი ნაქარგებითა და მაქმანებით – კლასიკური ფაქტურისა და მკვეთრი ფერის მიქსი.

LOUIS VUITTON

1. 1980-იანი წლების დისკოს ეპოქის გავლენით შექმნილი მინიკაბა კრისტალებითა და ბრჭყვიალა დეტალებით.
2. გესკიე მინიმალიზმთან ნამდვილად მეგობრობს – გამჭვირვალე ორგანზის ბლუზა და ორიგინალური ფორმის შემოსაცმელი საკმაოდ არაორდინარული, თუმცა მარტივი და სადა LOOK-ია.

syoss
syoss
PROFESSIONAL PERFORMANCE
SALONPLEX
РЕСТАВРАЦИЯ ВОЛОС
01 ШАМПУНЬ
ДЛЯ ХИМИЧЕСКИ И МЕХАНИЧЕСКИ ПОВРЕЖДЕННЫХ ВОЛОС
Воссоздание поврежденных связей в структуре волоса
Восстановленные, сильные волосы
500 мл
syoss
PROFESSIONAL PERFORMANCE
SALONPLEX
РЕСТАВРАЦИЯ ВОЛОС
02 БАЛЬЗАМ
ДЛЯ ХИМИЧЕСКИ И МЕХАНИЧЕСКИ ПОВРЕЖДЕННЫХ ВОЛОС
Воссоздание поврежденных связей в структуре волоса
Восстановленные, сильные волосы
500 мл
სიოს სალონპლექსი
ალდგენა და
დაცვა
დაზიანებისგან
თმა, როგორც სალონის სტუმრობის შემდეგ - ყოველ დღე
სერტიფიცირებულია

NINA RICCI

ოისფრის, იასამნისფრისა და CANDY ჟოლოსფრის ეფექტური კომბინაცია – **NINA RICCI**-ს კოლექციის ძირითადი ხაზი სწორედ ამ ტონალობების სინთეზი გახლდათ.

1. თხელ ნაცრისფერ ლაბადასა და ჯიბეებიან მკაცრ შარვალს ძალიან მოუხდა თბილი იისფერი პერანგი.
2. ფერთა საკმაოდ გემოვნებიანი შეხამება – თეთრი და იისფერი.
3. ამ LOOK-ში ყველა მოდურმა ტონმა ერთდროულად მოიყარა თავი – ღია და მუქი იასამნისფერი და მკვეთრი ჟოლოსფერი.

1

2

3

NINA RICCI

1. კუბოკრული შარვალი და ზოლებიანი პერანგი – კოლექციის ძირითადი ხაზიდან ამოვარდნილი, თუმცა საკმაოდ ეკლექტური LOOK-ი.
2. Animal პრინტის კლატჩი განსაკუთრებით ეფექტურია ჭაობისფერ შარვალთან კომბინაციაში.

1

2

DANIEL WELLINGTON
INTRODUCING
A NEW
ICON
CLASSIC PETITE WORN BY
KENDALL JENNER
DW
Daniel Wellington
რუსთაველის 46, ვეკუინის 18, აღმაშენებლის 96,
ჰი-თი-სი, თბილისი მოლი, ისთ ფოინთი

BALENCIAGA

ბოსტსაბჭოთა ესთეტიკისა და 1990-იანი წლების Trashy Chic-ის გლობალურ მოდურ ტენდენციად ქცევა სწორედ დემნა გვასალიასა და მის ავანგარდულ ხედვას უკავშირდება. ქართველმა დიზაინერმა, რომელმაც საკუთარი ეპატაჟური ბრენდის – VETEMENTS-ის დამსახურებით ფაქტობრივად ახალ მოდურ სუბკულტურას ჩაუყარა საფუძველი, **BALENCIAGA**-ს კრეატიული ხელმძღვანელის სტატუსიც საკმაოდ კარგად შეითავსა. მიუხედავად იმისა, რომ დემნა მოდის ტენდენციებსა და კანონებს საერთოდ არ ცნობს, მის კოლექციაში მაინც შეამჩნევდით აქტუალური ტრენდების მიხედვით შექმნილ სამოსს. დიზაინერმა აქტიურად გამოიყენა ზოლიანი

სამოსი, თუმცა მთლიანად ინდივიდუალური დიზაინითა და ფორმებით (*1*, *3*). დემნას ყვავილებიანი პრინტი დანარჩენებისგან განსხვავებით არ იყო რომანტიკული, ჰაეროვანი და ნაზი სტილის. გასაკვირიც არაა – გვასალია ხომ ინსპირაციას უმეტესობისთვის არაესთეტიკური ეპოქებიდან და სუბკულტურებიდან იღებს (*2*). ალბათ გასული სეზონის ჰიტადქცეული წითელი, ე.წ. „გაბერილი“ ქურთუკის შემდეგ, ამჯერად ეს ყვითელი საწვიმარი ლაბადა დაიპყრობს მოდის მოყვარულთა გულებს (*4*).

BALENCIAGA

ფერთა გამისა და დეტალების კუთხით, კოლექცია აბსოლუტურად ადეკვატურია 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის ტრენდებთან მიმართებაში. თუმცა დემნას სილუ-ეტები არცერთ არსებულ ჩარჩოში არ ჯდება. ყვავილებიანი პრინტებით, მოულოდ-ნელი სილუეტებით, დიდი ზომის ჩანთებითა და მკაცრი მხრებით, დიზაინერმა „ურბანული“ CHIC-ის სრულიად ინოვაციური კონცეფცია შემოგვთავაზა (*1, 2*).

3

4

BALENCIAGA

დემნა უხვად გვთავაზობს ლეგინგებს – ზოგჯერ კაბის პრინტის შესაბამისს (*3*), ზოგჯერ კი ზოლიან პერანგთან სრულიად შეუსაბამოს – მკვეთრ წითელს (*4*).

BALMAIN

4

5

ტოდის სამყაროს ვუნდერკინდი, ახალგაზრდა დიზაინერი **ოლივერ როუსტინგი** ყოველ სეზონზე ახალი კონცეფციებით ანებივრებს პუბლიკას, თუმცა ჩვეულ ხელწერასაც არ თმობს.

1. აბრეშუმის ყელიანი კაბა ამოჭრილი მხრებითა და გაშვებული მკლავებით ფერთა იდეალური კომბინაციით გამოირჩევა.

2. ოლივერს განსაკუთრებით უყვარს ჭაობისფერი – მისი საყვარელი ტონი ამჯერად ფუტურისტული და ანტიკური სილუეტების სინთეზით შექმნილ LOOK-ში გაცოცხლდა.

3. BALMAIN-ის კლასიკური კაბები ყოველთვის მკაცრი გეომეტრიული ჭრებითა და ზღაპრული ბრჭყვიალით გამოირჩევა.

4. აგურისფერი როუსტინგის კიდევ ერთი ფავორიტი ტონია. ამ ფერისა და ზამშეს სინთეზი დიზაინერისგან საკმაოდ პროგნოზირებადი ნაბიჯი იყო.

5. ცხადია, ჩვენებაზე ერთ-ერთი ყველაზე სექსუალური **ჯიჯი ჰადიდი** გახლდათ. გულზე ამოჭრილი კომბინეზონი სუპერმოდელმა საკმაოდ მოხდენილად მოირგო.

BALMAIN

1. ბრჭყვიალა პონჩო ეთნიკური პრინტებითა და ფორმით, ქუჩის მოდის ფოტოგრაფების უკონკურენტო ფავორიტი იქნება.
2. მეტალის დეტალებით შექმნილი მუქი ოქროსფერი კაბა ერთდროულად ვინტაჟური ჰოლივუდის სტილისაა და საკმაოდ თანამედროვეა.

1

2



captain plus

მ. ბროსეს ქ. №2
242 40 40
facebook.com/capplus
www.captain.ge

STELLA MCCARTNEY

დიზაინერი, რომელიც უკვე მრავალი წელია ვეგეტარიანელია, საკუთარ კოლექციებში არასოდეს იყენებს ნატურალურ ბეწვსა და ტყავს. სწორედ ამიტომ, სტელას შოუები, ესთეტიკასთან ერთად, სამოსის მიმართ მისი დამოკიდებულებითაცაა გამორჩეული. მოდის კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ ახალგაზრდა დიზაინერი ყოველთვის ყველაზე რეალურ სამოსს ქმნის. სამოსს, რომელიც მკაცრად თანამედროვე და ამავდროულად, მარტივია. გამონაკლისი არც 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის შოუ გახლდათ – **STELLA McCARTNEY**-ის ქალი ამ სეზონისთვის ბუნებრივი და თავდაჯერებულია, ყოველგვარი გადაპრანჭვისა და ვულგარულობის გარეშე.



STELLA McCARTNEY

კოლექციას ნათლად ეტყობოდა დიზაინერის Eco-friendly პოზიცია – ხელოვნური ფაქტურებით სტელამ პოდიუმზე ველური ბუნება და Safari-ს ესთეტიკა გააცოცხლა.

1. ზამშეს თხელი ბლუზა-პონჩო და დიდი ზომის წელზე მოჭერილი შარვალი ყველაზე ორგანულ ფერთა გამის მიხედვით იყო შექმნილი, ყელსაბამი კი ხის მერქნის ხელოვნური მასალით დამზადებული იმიტაცია გახლდათ.
2. თხლად ნაქსოვი ბრჭყვიალა კაბა მოშიშვლებული მხრით და სეზონის ჰიტი აქსესუარი – ორმაგი ქამარი-ჩანთა.
3. ძლიერი ქალის უნიფორმა – საწვიმრის ესთეტიკის მკაცრი კაბა და მოსახერხებელი ჩანთა წელზე სარტყელად. **STELLA McCARTNEY** ყოველთვის საკმაოდ პრაქტიკულ და მოდურ სამოსს გვთავაზობს.

1

2

3

1
2

MIU MIU

1. კოლექცია, რომელიც საზღვაო სეზონის Must Have-ნივთებითა და აქსესუარებით იყო დაკომპლექტებული, ულამაზესი შავი საცურაო კოსტიუმითა და თავსაბურავით გაიხსნა.

2. საზაფხულო პრინტები და ფერები, კაბებსა და სარაფნებშიც უხვად შეგვხვდა.

3. ჩვენებაში საკმაოდ კარგად იყო დაცული 1960-იანი წლებისთვის დამახასიათებელი სილუეტები – მთლიანი საცურაო კოსტიუმი ძალიან ჰგავდა ბრიჯიტ ბარდოს სტილს.

4. სლავური ტრადიციული სამოსისთვის დამახასიათებელი ნაქარგები, მკვეთრი წითელი ქვედაბოლო და პერანგი – ეს ყველაფერი კი, შეხამებული წითელსავე ლაქის სანდლებთან მასიურ პლატფორმაზე.

3

4

D&G
DOLCE&GABBANA
MILANO 2016
JE TAIS LÀ
D&G
DOLCE&GABBANA
MILANO 2016
D&G
DOLCE&GABBANA
MILANO 2016

DOLCE & GABBANA

დიზაინერთა დუეტს შთაგონების ძიებისას ალბათ ბევრი არც უფიქრია და ჩვენების მთავარ თემად ისევ საკუთარი სამშობლო შეარჩიეს. Italian Tropic – ასე ერქვა შოუს, რომელშიც სტეფანომ და დომენიკომ 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის მოდური ტენდენციები ჩვეული პომპეზურობით გააერთიანეს.

DOLCE & GABBANA

ამ კოლექციით **DOLCE & GABBANA**-მ წარმოსახვით იტალიურ ზღვისპირა კურორტზე გვამოგზაურა და ტრადიციულად ბაროკოს სტილით შთაგონებული სილუეტები და მდიდრული, ბრჭყვიალა ესთეტიკა შემოგვთავაზა.

1. კოლექციაში, ავთენტურ და საფირმო დეტალებთან ერთად, მკაცრად და ზედმიწევნით იყო გათვალისწინებული სეზონის მოდური ტენდენციები – პრინტიანი მაისურები 2017 წლის გაზაფხული-

3

4

ზაფხულისთვის **DOLCE & GABBANA**-მაც შემოგვთავაზა.
2. მაღალწელიანი ბრჭყვიალა ქვედაბოლო, მასიური სამკაული და თეთრი ტოპი აქცენტით მხრებზე – ბრენდმა ამ კოლექციაშიც შეინარჩუნა ჩვეული პომპეზური დეტალები.
3. მაქმანებიანი დუო-გამჭვირვალე ქვედაბოლო და შემოსაცმელი, შეხამებული სლოგანებიან ტოპთან და კრისტალებიან კედებთან.
4. სეზონის კიდევ ერთი აქტუალური ტრენდის, ზოლების იტალიური ვარიაცია – რენესანსის ეპოქის სილუეტი და ბრჭყვიალა, თვლებითა და კრისტალებით გადატვირთული მინიქვედაბოლო.

DOLCE & GABBANA

1. ცხადია, სიჭრელით განთქმულმა მოდის სახლმა ფერადი პრინტები არც წელს დაინანა – მზესუმზირებიანი კაბა იდეალურად ჯდება კოლექციის თემატიკასა და იტალიურ ესთეტიკაში.
2. ამ კოლექციაში, პრინტებთან და ფერთა გამასთან ერთად, თმის აქსესუარები, სამკაულები და კლატნებიც საკმაოდ დასამახსოვრებელი გახლდათ.
3. კრისტალებიანი თავსაბურავი, მასიური საყურე და კაბა ვარდების პრინტით – იტალიური ზაფხულის კლასიკური უნიფორმა.

LIYA

თაქთაქიშვილის ქ. 3, თბილისი
(+995) 577 50 34 21

GIORGIO ARMANI

საქმიანი და ოფიციალური, აკადემიური სტილის საკმაოდ ფუტურისტული და განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა იტალიური მოდის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავმა. **GIORGIO ARMANI**-მ გრაფიკულ პრინტებსა და მკაცრ სილუეტებს ნაქარგები, ორნამენტები და ყვავილებიანი პრინტებიც საკმაოდ დახვეწილად შეუხამა. საქმიანი ქალბატონებისთვის შექმნილ კოლექციაში პიჯაკები, მაღალწელიანი შარვლები და პრინტიანი ტოპები დომინირებდა.

GIORGIO ARMANI

მთლიანობაში, კოლექცია 3 ძირითად ხაზად იყო დაყოფილი. ოფიციალური სტილის შემდეგ, პოდიუმზე თამამი პრინტები და ფერადოვნება ვიხილეთ – სწორი აქცენტებით საზაფხულო ფეხსაცმელსა და აქსესუარებზე. დასკვნით ნაწილში კი იტალიელმა დიზაინერმა „წითელი ხალიჩისა“ და წვეულებებისთვის შექმნილი დახვეწილი კოქტეილის კაბები წარმოგვიდგინა.

GIORGIO ARMANI

საკმაოდ საინტერესო ფერთა გამაში, გამორჩეულად დახვეწილი და დელიკატური აღმოჩნდა ნაცრისფრისა და ლურჯის გრადაციები. გარდამავალი ფერები განსაკუთრებით მოუხდა ბრჭყვიალა პრინტებსა და კონტრასტული ფაქტურების შეხამებას.

www.facebook.com/ioverdegeo

ვერტიკალური ბაღი

ახალი სიტყვა ინტერიერის დიზაინში

IO VERDE

ETRO

ალარავინ დავობს იმაზე, რომ **ETRO**-ს ეთნოდეტალების გაცოცხლება ყველაზე ოსტატურად შეუძლია. იტალიური მოდის სახლი, რომელიც ბოჰემურ და ზღაპრულ სტილთან თანაბრად ასოცირდება, ყოველთვის რომანტიკული, გამორჩეული და კომფორტული სამოსის სინთეზს გვთავაზობს, თანაც – გარკვეული ეპოქითა თუ კულტურით შთაგონებულს.

ETRO

მკვეთრი აღმოსავლური პრინტები, ფონჩები და პომპონები, პონჩოები, კიმონოები და მასიური სამკაულები – ამ სეზონისთვის **ETRO** გამორჩეულად ბოჰემური და ფერადია.

BLUMARINE

თუ თავგადასავლებითა და რომანტიკული ისტორიებით სავსე ზაფხულისთვის შესაბამისი გარდერობის ძიებაში ხართ, მაშინ აუცილებლად უნდა გადაავლოთ თვალი **BLUMARINE**-ის კოლექციას. საოცრად ლაღ, მხიარულ და ბედნიერ ნოტაზე შექმნილ სამოსს აქსესუარები და დელიკატური დეტალები განსაკუთრებულ ხიბლს სძენენ. ჩალის მასიური შლაპები, Off The Shoulder ტოპები და საზაფხულო კაბები, ნაქარგებიანი პერანგები და მაქმანები – საკმაოდ ეკლექტური და ფერადი კოლექცია 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის ყველაზე რომანტიკულ სტილს გვთავაზობს.

kiss me
hold me forever

BLUMARINE

ფერთა ძირითადი გამა ვარდისფერს, თეთრსა და კრემისფერს მოიცავს. კოლექციაში ვერ შეხვდებით მკვეთრ ფერებსა და დიდი დოზით სიჭრელეს. გვხვდება ყვავილებიანი პრინტებიც, თუმცა ზომიერად. სამოსი უფრო მინიმალისტურია, ვიდრე თამამი და თვალშისაცემი, თუმცა უხვადაა Statement დეტალები და სილუეტები.

BLUMARINE

Head To Toe თეთრი სამოსი კოლექციის ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი ნაწილია. მაქმანებით, ნაქარგებითა და ორნამენტებით განყობილ მინიკაბებსა და ტოპებს ვინტაჟური ელფერი დაჰკრავს.

მეცნიერება ჯანსაღი თმის შესახებ

ახალი ერა თმის მოვლის სფეროში!

NIOXIN-ი სუსტი, შეთხელებული და უსიცოცხლო თმისადმი ინოვაციური მიდგომა, რომელიც დაფუძნებულია თავის კანის მოვლაზე!

NIOXIN®

№1 სალონური ბრენდი, 25 წლიანი გამოცდილებით. 12 ჯერ გამარჯვებული კონკურსში „სტილისტის არჩევანი“.
იკითხეთ სილამაზის სალონებში

ვ. დოლიძის ქ. 46, თბილისი
+995 032 229 58 00
proflinecosmetics@yahoo.com
FB/WellaProfessionalsStudioGeo

Profline Cosmetics
პროფლაინ კოსმეტიკსი

NIOXIN-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში

BOTTEGA VENETA

ბარდა იმისა, რომ **BOTTEGA VENETA**-მ პოდიუმზე ნამდვილი „ვარსკვლავთცვენა“ მოაწყო და **ირინა შეიკთან** და **ადრიანა ლიმასთან** ერთად ახალი თაობის მოდელებიც წარმოგვიდგინა, იტალიური მოდის სახლის ჩვენება სხვა მიზეზების გამოც გახდა დაუვიწყარი: კოლექცია ტყავისა და სხვა უხეში ფაქტურებისგან საოცარი ოსტატობით შექმნილი სამოსით გამოირჩეოდა – დიდი დოზით შავი LOOK-ებითა და მინიმალისტური სტილით.

BOTTEGA VENETA

ვიხილეთ თავბრუდამხვევი ორნამენტები, ვინტაჟური თუ კლასიკური სილუეტები, სექსუალური ფორმები და Bold-პრინტები. შოუს დახურვის პატივი **ჯიჯი ჰადიდს** ერგო – სუპერმოდელმა ეს მნიშვნელოვანი მისია საკმაოდ წარმატებით შეასრულა.

VERSACE

დონატელა ვერსაჩემ 2017 წლის ზაფხულისთვის ბრენდის ხელწერისგან სრულიად განსხვავებული და უჩვეულო კოლექცია შემოგვთავაზა. ფუტურისტული სპორტული სამოსი, გრაფიკული მკაცრი სილუეტები და პრინტები ძალიან მოუხდა **VERSACE**-სთვის დამახასიათებელ ესთეტიკას. გეომეტრიული ფორმების ინსპირაციით შექმნილი ორნამენტებით, საკმაოდ საინტერესო Statement აქსესუარებითა და მკაცრი სილუეტებით, იტალიურმა მოდის სახლმა არსებობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი კოლექცია შექმნა.

VERSACE

Chic სპორტული სტილი პოდიუმზე საკმაოდ თავდაჯერებულად მოირგეს **ირინა შეიკმა**, **ჯიჯი ჰადიდმა** და **ნაომი კემპბელმა.** ჩვენებაზე განსხვავებული თაობის მოდელების გამოჩენამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ **VERSACE**-ს სამოსის ტარება ქალბატონებს ნებისმიერ ასაკში შეუძლიათ.



ROBERTO CAVALLI

2017 წლის გაზაფხული-ზაფხულისთვის ლეგენდარულმა იტალიელმა დიზაინერმა პოდიუმზე ველური ბუნება და ამაზონის ეგზოტიკური ჯუნგლები გააცოცხლა. Animal პრინტებით, ბოჰემური სტილითა და სექსუალური ფორმებით **CAVALLI**-მ დასამახსოვრებელი და მხიარული კოლექცია შემოგვთავაზა.

ROBERTO CAVALLI

მუსიკალური ფესტივალებისთვის შექმნილ კოლექციას 1970-იანი წლების გავლენაც ეტყობოდა, თუმცა ძირითადი ხაზი მაინც ველური ბუნების ეგზოტიკით იყო შთაგონებული.

ROBERTO CAVALLI

CAVALLI-მ განსხვავებული ფაქ-ტურების, პრინტებისა და სტილის საკმაოდ დახვეწილი კომბინაცია წარმოგვიდგინა – ბოშებისა და ჰიპების გავლენებითა და ფერთა თამამი შე-ხამებით.

საცურაო კოსტიუმი, თხელი ჟაკეტი
და კეპი **GIGI HADID FOR TOMMY HILFIGER**
ჩანთა **MAX MARA WEEKEND**
სანდლები **MIU MIU**
საათი **DANIEL WELLINGTON**
სათვალე **MARC JACOBS**

ტენერიფეს ზღაპრული პეიზაჟები, მზიანი ამინდი & მოდა

საზღვაო სეზონის უახლესი ტრენდები

ცხელ-ცხელი სეზონის მოახლოებასთან ერთად საზაფხულო გარდერობის განახლებას ვიწყებთ. ასეთ დროს თანაბრად ვზრუნავთ დღისა და ღამის LOOK-ებზე და ერთდროულად ვეძებთ ურბანული, ეგზოტიკური, კომფორტული თუ კლასიკური სტილის სამოსს. ყველაზე აქტუალური, რასაკვირველია, საცურაო კოსტიუმებია. ამჯერად ისინი აფრიკულ, მექსიკურ და იაპონურ კულტურას აერთიანებენ და ფერად ქვებსა და მარგალიტებს იბნევენ. მოდაშია გამოკვეთილი ფორმები, ზოლები, ეთნიკური დეტალები და სიჭრელე...

საცურაო კოსტიუმი **THE PEARL**
ბომბერი **ANA LOCKING**
ყელსახვევი **CORTEFIEL**
სანდლები **CHRISTIAN LOUBOUTIN**
სამაჯური **FURLA**
საათი **VERSACE**
შლაპა **UTERQÜE**
ყელსახვევი **HERMÈS**

საცურაო კოსტიუმი **HERVE LEGER**
ჩანთა **SKULLS RAQUEL GIMÉNEZ**
სანდლები **VERSUS**
ხელსახვევი **HERMÈS**
სათვალე **LOUIS VUITTON**
საყურე **COS**

საცურაო კოსტიუმი **BIMBA Y LOLA**
ჩანთა **PAULA CADEMARTORI**
საყურე **BIMBA Y LOLA**
შლაპა **GUANABANA**
სათვალე **MARC JACOBS**
სამაჯურები **GUANABANA, CORTEFIEL** და **BIMBA Y LOLA**
სანდლები **FURLA**

საცურაო კოსტიუმი **RED POINT**
საყურე **UTERQÜE**
სამაჯური **GUANABANA**
ქუდი **YERSE**

საცურაო კოსტიუმი **CALZEDONIA**
ჩანთა **WOMAN'S SECRET**
შარფი **BIMBA Y LOLA**
სანდლები **JIMMY CHOO**
სათვალე **ROBERTO CAVALLI**

საცურაო კოსტიუმი **YOU ARE**
ბომბერი **PINKO**
ჩანთა **M MISSONI**
სამაჯური **MYTH OF GEA**
სათვალე **DIOR**
ქამარი **HERMÈS**

ტექსტი: NATY ABASCAL
ფოტო: MARIO SIERRA
მაკიაჟი და ვარცხნილობა:
VICKY MARCOS (JED ROOT) FOR
DIOR COSMETICS AND GHD
სტილისტის ასისტენტები:
TERESA SAEZ DE MONTAGUT
& SAMUEL SANZ
ფოტოგრაფის ასისტენტი:
JAMAL JENIAH
ლოკაცია:
HOTEL BAHÍA DEL DUQUE

საკონსულტაციო კომპანია

ETERE PR AGENCY

- ბრენდინგი
- მედიადაგეგმარება
- საკომუნიკაციო კამპანიები
- სოციალური მედიის მარკეტინგი
- პროდუქციის რეკლამირება
- ღონისძიებების დაგეგმვა

fb.com/EtereAgency
+ 995 0322 98 03 98

JULIEN MACDONALD

2017 წლის გაზაფხულისთვის ბრიტანელმა დიზაინერმა კოლექციის ძირითადი ხაზი აფრიკული Tribal ესთეტიკისა და ეთნოდეტალების გავლენით შექმნა. Afro-Chic სტილის სრულიად ახლებური ვერსია ბევრ ბრჭყვიალა პრინტთან ერთად ფემინურ სილუეტებსაც გულისხმობდა. თემატურად საკმაოდ კარგად შეკრულ კოლექციაში მთავარი ფაქტორი ტემპერამენტისა და ხასიათის სამოსით გადმოცემა იყო. ყველა LOOK-ი სექსუალურობისა და სითამამის იდეალური კომბინაცია გახლდათ – დიდი დოზით სიშიშვლისა და ბრჭყვიალა ფაქტურების გათვალისწინებით.

PETER PILOTTO

რომანტიკული, ფერადი და დელიკატური – **PETER PILOTTO**-ს კოლექციას, მოსაწყენის გარდა, ყველაფერი შეგვიძლია ვუწოდოთ. განსხვავებული ეპოქებითა და სტილით შთაგონებულმა დიზაინერმა პრინტებზე, ლოგოებსა და სიშიშვლეზე გამახვილებული აქცენტებით საკმაოდ ეკლექტური და მხიარული კოლექცია შემოგვთავაზა. ნაქარგები, ორნამენტები და მკვეთრი ფერები ძალიან მოუხდა აღმოსავლური სტილის შთაგონებით შექმნილ LOOK-ებსა და დენიმს.

ანტიკური ხანის ბერძნული კულტურისა და მითოლოგიის მისტიკური დეტალებით შთაგონებულმა დიზაინერმა ამჯერადაც სრულიად თავბრუდამხვევი და ფერადი კოლექცია შემოგვთავაზა. **MARY KATRANTZOU**-ს ქალი 2017 წლის გაზაფხულისთვის საკმაოდ თამამი და კრეატიულია, ატარებს დიდი დოზით პრინტიან სამოსს, არ უშინდება ფერთა მკვეთრ შეხამებას და თამამად ირგებს ქალღმერთის როლს.

MARY KATRANTZOU



CHRISTOPHER KANE

Გრაფიკული პრინტებითა და მკაცრი სილუეტებით განთქმულმა დიზაინერმა ამჯერად პოდიუმზე 1940-იანი წლების ესთეტიკა გააცოცხლა. შეუსაბამო ფაქტურების შეხამებითა და სიურრეალისტური პრინტებით, დიზაინერმა სრულიად განსხვავებული სტილი გვიჩვენა. ძირითადი აქცენტით ყვავილებსა და ბეწვზე, კოლექცია რომანტიკული და მკაცრი სტილის შეხამების იდეალური მაგალითი გახდა.

OSCAR DE LA RENTA

OSCAR DE LA RENTA

ანჰეტენელი ქალბატონებისთვის განსაკუთრებით საყვარელმა ბრენდმა ტრადიციას არც ამჯერად უღალატა და საოცრად გლამურული კოლექცია შემოგვთავაზა.

1. ყაისნაღით ნაქსოვი საზაფხულო კაბა გრძელი მკლავებით იდეალური CASUAL სტილია.
2. თეთრი ჰაეროვანი კაბა და „გლადიატორის“ სტილის სანდლები – ზაფხულის ნამდვილი MUSH HAVE.
3. გამჭვირვალეს ყველაზე ჰაეროვანი სტილი – თეთრი შიფონის კაბა სარჩულით.
4. ისევ და ისევ თეთრი კაბა კორსეტით, თუმცა – შავი პრინტებით.
5. იდეალური ბოჰემური სტილი – ჰაეროვანი კაბა და ფოჩებიანი ქამარი.

4

5

1

2

OSCAR DE LA RENTA

1. კოქტეილის შავ კაბას კორსეტითა და ბუმბულებით ალბათ კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ – ამჯერად „წითელ ხალიჩაზე“.
2. ბისერებთან და თამამ დეკოლტესთან ერთად, ეს LOOK-ი კიდევ უფრო გლამურულია.
3. ბუმბულებიანი კაბა არტ-დეკოს სტილში, სექსუალურთან ერთად, საკმაოდ დახვეწილიცაა.
4. ნატიფი სილუეტი, ზომიერი სექსუალურობა და თეთრისა და შავის კომბინაცია – ეს კაბა იდეალურია „საოსკარო“ „წითელი ხალიჩისთვის“.

OSCAR DE LA RENTA

1. მოდური გამჭვირვალე ფაქტურისა და კლასიკადქცეული სილუეტის თანხვედრა.
2. ნაქარგებით შექმნილი კაბა მათთვის, ვისაც ფერადი სამოსის ტარება ურჩევნია.

1

2

KING DAVID

LIMITED EDITION

მუკუზნის საფერავი

ქართული პრემიალური ღვინო



ესპანელი მხატვრის

აუგუსტო ფერერ დალმაუს

ტილოზე აღბეჭდილი ქართული ისტორია

1

2

RALPH LAUREN

ვლინტ ისტვუდის ფილმების ესთეტიკა დიზაინერმა პოდიუმზე საკმაოდ ამბიციური და ეკლექტური კოლექციით გააცოცხლა. Cowboy სტილს რალფ ლორენმა მინიმალისტური და დახვეწილი LOOK-ებიც მოარგო.

1. ბეწვიანი პონჩო და Tribal სამკაულები ეთნოდეტალების თანამედროვე სტილთან მორგების შესანიშნავი მაგალითია.
2. კლასიკური წითელი კაბა ცალი მკლავითა და ჰაეროვანი სილუეტით, შეხამებული სრულიად მოულოდნელ დეტალთან – Cowboy-ს შლაპასთან.
3. მკვეთრი ფერის დუო – კლასიკური იასამნისფერი პიჯაკი, შარვალი და მასიური სამკაულები.
4. ამ LOOK-ის ყველაზე სექსუალური დეტალი ბეწვის შინდისფერი ქურქია.

3

4

RALPH LAUREN

1, 2. მინიმალისტური სტილის ორი სრულიად განსხვავებული ლაბადა – თეთრი, ცალი მკლავით, ქამრით, შავი მკაცრი სილუეტით და გრაფიკული ელემენტებით.
3. ბისერებით შექმნილი პიჯაკი და შარვალი ფერთა არაორდინარული შეხამებით გამოირჩევა.
4, 5. კვლავ პიჯაკი და შარვალი – კლასიკური, აკადემიური სტილის ვესტერნული გარდასახვა.

4

5

1

2

RALPH LAUREN

1, 4. ცხადია, ფოჩებიანი მოსასხამი ვესტერნის თემატიკაზე შექმნილი კოლექციის მნიშვნელოვანი ატრიბუტია.
2, 3. ფოჩები საოცრად კარგად ჯდება მთლიან კონცეფციაში და ძალიან უხდება როგორც კაბებს, ასევე აქსესუარებსა და პონჩოებს.

3

4

VICTORIA BECKHAM

ბრიტანელმა დიზაინერმა კოლექციის ძირითად თემატიკად დეკონსტრუქცია აირჩია. ნაცნობი ფორმების დაშლა და ხელახლა აწყობა, ინოვაციური სილუეტები და მინიმალიზმი – სწორედ ეს გახლდათ ჩვენების მთავარი იდეა.

1. ბომბერის ტიპის ბლუზა განიერი მხრებითა და პრინტებით, ხავერდის იისფერი ქვედაბოლო და საკმაოდ ორიგინალური ფორმის ჩანთა.
2. ბერძნული მითოლოგიის ქალღმერთის სტილში შექმნილი ჰაეროვანი კაბა და შეუსაბამო, დიდი ზომის ჯიბე – არაორდინალური კომბინაციის კარგი მაგალითი.

1

2

1

2

3

4

5

VICTORIA BECKHAM

1, 2, 4. ვიქტორიამ ძალზე უხვად გამოიყენა „დაკუჭული“ ეფექტის მქონე ფაქტურები, და ამ სტილის პიჯაკები, შარვლები და კაბები შემოგვთავაზა.
3. თეთრი ფერი კოლექციაში შესანიშნავადაა ათვისებული – ამ კაბას სინაზესა და ფემინურობას სწორედ ეს ტონი სძენს.
5, 6. დეკონსტრუქციის ყველაზე კარგი მაგალითი – არაორდინალური ფორმების შექმნა **VICTORIA BECKHAM**-ს საკმაოდ კარგად გამოუვიდა.
7. ამ აგურისფერ კაბასთან ერთად დიზაინერი დიდი ზომის კომფორტული ჩანთის ტარებას გვირჩევს, მთლიანი LOOK-ის მონოქრომულ ტონში.

6

7

1
CAROLINA
HERRERA

2

მანამედროვე ამერიკული მოდის ყველაზე გავლენიანი ქალბატონის კოლექციებში ყოველთვის იგრძნობა ახალი ინსპირაციები და კონცეფციები. ამის მიუხედავად, **CAROLINA HERRERA** კარგად ახერხებს გააცოცხლოს კლასიკური სილუეტები და არ უღალატოს ჩვეულ, გამოკვეთილ ხელწერას.

1. CAROLINA HERRERA მეტალიკის აქცენტებს არცერთ სეზონზე არ ღალატობს –ვერცხლისფერი მბზინვარე კაბა ამისი ნათელი დასტურია.
2. დენიმის კაბა შუა საუკუნეების სილუეტით კოლექციის ყველაზე დასამახსოვრებელი LOOK-ი აღმოჩნდა.

CAROLINA HERRERA

1. თეთრისა და შავის „მოულოდნელი დუეტი“ – სპორტული ტოპი და ტიულის გაშვებული ქვედაბოლო.
2. ფერთა ყველაზე კლასიკური შეხამების გეომეტრიული ფორმებით ინსპირირებული მაგალითი.
3. ორგანზას პერანგზე გადაცმული კორსეტიანი კაბა – სეზონის ორი მოდური ტენდენციის თანხვედრა.
4. მკაცრი გრაფიკული პრინტი და კლასიკური სილუეტი.

3
4

CAROLINA HERRERA

1. ტყავის ლაბადა, როგორც კაბა – **CAROLINA HERRERA**-ს კიდევ ერთი ორიგინალური გადაწყვეტილება.
2. კოქტეილის კაბად გარდაქმნილი შავი კლასიკური პიჯაკი აბრეშუმის დეტალებით.

ფორუმი BY ახალი ნათება

ავეჯი განათება აქსესუარები

VONDOM®

OUTDOOR FURNITURE

/ForumNL

თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
ბათუმი, ხიმშიაშვილის #1

2 20 24 24

www.newlight.ge



1



2

MICHAEL KORS

ᲒᲚᲐᲛᲣᲠᲣᲚᲘ CASUAL სტილის ფუძემდებელმა დიზაინერმა ამ სეზონზე მინიმალიზმი სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანა.

1, 2. Head To Toe შავი სტილი დახვეწილთან ერთად საოცრად სექსუალურია და რაც ყველაზე მთავარია – ნებისმიერ სიტუაციაში მოდური.
3. მეზღვაურის უნიფორმით ინსპირირებულ კაბა-პერანგს ძალიან უხდება მუქი ყავისფერი ქამარი.

3

1

2

MICHAEL KORS

1. ეს LOOK-ი მაღალძირიანი სანდლებისა და ტყავის დაწნული საზღვაო ჩანთის გამოა გამორჩეული.
2. ფერად კომბინეზონს ვინტაჟური ელფერიც დაჰკრავს.
3, 4. MICHAEL KORS-ის ქალი 2017 წლის ზაფხულისთვის ყვავილებიან პრინტებს საუკეთესოდ იხდენს.

3

4

1

2

MICHAEL KORS

1, 3. ნათელი მაგალითი იმისა, რომ დიზაინერი კარგად გრძნობს ფემინურ სილუეტებს – იდენტური FLORAL პრინტებიანი ორი კაბა სრულიად განსხვავებული დიზაინით.
2. MICHAEL KORS-ი საზაფხულოდ მაღალძირიანი სანდლების ტარებას გვირჩევს.
4. უსახელო სვიტერი პერანგის ზემოთ – ამ ტრენდის დამკვიდრებაც სწორედ **KORS**-ის დამსახურებაა.

3

4

AVTANDIL

Არტისტის დამოკიდებულება საკუთარი ქმნილებების, მუზებისა და ინსპირაციის წყაროების მიმართ – **AVTANDIL**-ის 2017 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის მთავარი შთაგონების წყარო ხელოვანი ადამიანის ცხოვრების გასხვავებული ფაზები გახდა. ქალის სხეულის, სილუეტების, ფერებისა და ფაქტურების სიყვარული, როგორც კოლექციის მთავარი თემა, პოპ-არტითა და გრაფიტით შთაგონებული სამოსით იყო ხორცშესხმული.

1

2

ერთდროულად კონცეპტუალური და ფემინური კოლექცია საკმაოდ ეკლექტური და უნივერსალური აღმოჩნდა – ისევე, როგორც თავად სიყვარული.

1. დეკონსტრუქციის ელემენტები ავთანდილმა საოცრად კარგად შეუხამა კოლექციის ძირითად თემატიკას – ნაზ თეთრ პერანგებს ორიგინალური ფორმით დიზაინერმა თემატური პრინტები მოარგო.
2. პერანგზე გადაცმული ორგანზის გამჭვირვალე კაბებით დიზაინერმა ორი აქტუალური ტრენდი გააერთიანა – Nude სტილი და Layers-ის პრინციპი.
3. კოლექცია გამორჩეული იყო საოცრად ფსიქოდელიური სიჭრელითა და მკვეთრი ფერებით.
4. თუმცა ფერადოვნებასთან ერთად, იყო საკმაოდ საინტერესო ზოლიანი პრინტები და თავიდან ფეხებამდე შავი LOOK-ებიც.

3

4

ATELIER KIKALA

ანდროგენული სილუეტებითა და უხეში ფაქტურებით ცნობილი ქართველი დიზაინერი ლადო ბოკუჩავა ამ სეზონზე სრულიად ახალ სამყაროში ტრანსფორმირდა. სიმსუბუქეზე, ნათელ ფერებსა და ფემინურ ფორმებზე ორიენტირებულ კოლექციაში საკმაოდ განსხვავებული ტონები და კონცეფციები ვიხილეთ.

1. გრაფიკული პრინტები ძალიან მოუხდა ბოკუჩავას ფავორიტ ფერთა გამას.
2. თეთრი კაბა-ხალათი შავი სარტყელით – ზაფხულის ჰაეროვანი და რომანტიკული უნიფორმა.
3. შავ კაბას წვრილი ბრეტელებით ძალიან მოუხდა წითელი საზაფხულო ფეხსაცმელი.
4. ფერთა Bold შეხამების, სილუეტისა და ბრჭყვიალა ფოჩების წყალობით, ეს კაბა კოლექციის ფავორიტი LOOK-ი გახლდათ.

1

2

3

4

GEORGE KEBURIA

ჯორგი ქებურიას „ქალი“ 2017 წლის გაზაფხული/ზაფხულისთვის იაპონური კულტურითა და ესთეტიკითაა ინსპირირებული. საკურას ყვავილობის ფერები და მკაცრი რგოლები პრინტად – მთელ კოლექციას ამომავალი მზის ქვეყანასთან დაკავშირებული სიმბოლიკები გასდევს.

1. ქვედაბოლოებისა და პიჯაკების უმეტესობას მეტალის დეტალები და ქამრები საკმაოდ კარგად ჰქონდა შეხამებული.
2. გამჭვირვალე ფაქტურები და ჰაეროვანი სილუეტი ძირითად თემატიკაში საკმაოდ ორგანულად ჩაჯდა.
3. მკაცრი ანდროგენული სტილი – გრძელი პიჯაკი მეტალის შესაკრავებითა და დახურული გულით.
4. კოლექციის ფავორიტი LOOK-ი – მკვეთრი იასამნისფერი შარვალი და პიჯაკი პრინტებით.
5. გრაფიკისა და დეკონსტრუქციის კარგი მაგალითი – უსწორმასწორო სიგრძის ქვედაბოლო და ბრჭყვიალა ტოპი.

1

2

3

4

5

TAMUNA INGOROKVA

თამუნა ინგოროყვა მინიმალიზმსა და ფარულ სექსუალურობას ყოველ კოლექციაში უძებნის ახალ ფორმას. მაღალწელიანი შარვლები, კომბინეზონები და ლაბადები ძალიან კარგად ჩაჯდა მკაცრი, თუმცა ფემინური ქალის კონცეფციაში. Head To Toe ლაქისა და ტყავის LOOK-ებით შექმნილი კოლექცია საკმაოდ ძლიერი ენერგეტიკის მატარებელი და შთამბეჭდავი იყო.

1

2

1. ტყავის თხელი ლაბადა, როგორც კაბა – ამ LOOK-ით უკვე ვიხილეთ „წითელ ხალიჩაზე“ სუპერმოდელი დაუცენ კრუსი.
2. დეკონსტრუქციის კარგი მაგალითები ყოველთვის უხვადაა ინგოროყვას კოლექციებში. თეთრი პერანგის სრულიად ახალი სილუეტი დიზაინერმა 2017 წლის გაზაფხულის კოლექციაშიც შემოგვთავაზა.
3. კოლექცია ძალზე შთამბეჭდავი გახლდათ მინიმალისტური, თუმცა დასამახსოვრებელი პრინტების თვალსაზრისითაც.
4. ინგოროყვა საოცრად კარგად უხამებს ერთმანეთს ფერებსა და ფაქტურებს – პიტნისფერი ნაზი კაბა და ტყავის მკაცრი ლაბადა ნამდვილად იდეალური კომბინაციაა.

3

4



DJABA DIASAMIDZE

ახალგაზრდა ქართველი დიზაინერი ყოველთვის ახერხებს სხვადასხვა ეპოქაში გვამოგზაუროს. მისი ჩვენებები კი თეატრალიზებულ პერფორმანსებს უფრო ჰგავს. ამჯერადაც, ჯაბას კოლექცია მკაცრად ქალური, დახვეწილი და ემოციური იყო – თეთრის, შავისა და წითელის ვარიაციებით, საოცრად დახვეწილი კლასიკური სილუეტებითა და ორიგინალური აქსესუარებით.

1

2

1. გამორჩეულად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ქართული ანბანის ასოებით დაპრინტული მოსასხამიც.
2. კოლექციის განსაკუთრებულად მომხიბვლელი ნაწილი წითელისა და ჟოლოსფრის კომბინაციით შექმნილი კლასიკური სილუეტის კაბები იყო.
3. დიასამიძის კოლექციებს ყოველთვის ეტყობა, რომ დიზაინერი კლასიკურ ფერებს ანიჭებს უპირატესობას. მისი სამოსი უმეტესად შავი ფერისაა.
4. ჯაბას სავიზიტი ბარათი საოცარი ოსტატურობით შესრულებული დეტალებია: ბუმბული, ორგანზა, აბრეშუმი, ორიგინალური ბაფთები და თავსაბურავები.

SITUATIONIST

ბელა ჰადიდის ფავორიტმა ქართველმა დიზაინერმა ამ სეზონზე ყველაზე დასამახსოვრებელი და არაორდინარული კოლექცია შემოგვთავაზა. ანდროგენულ ესთეტიკაზე ძირითადი აქცენტებითა და დიდი დოზით შავი სამოსით, რუსაძემ ქალის საკმაოდ სექსუალური, თავდაჯერებული და მეამბოხე განსახიერება შექმნა.

1

2

1. პატრიოტული მოტივები – რუსაძემ საქართველოს დროშას კორსეტის დანიშნულება შესძინა.
2. მინიმალისტური ლურჯი პერანგი და ტყავის წითელი ბოტფორდები ფერთა მოულოდნელი შეხამების გარდა, დიდი დოზით სიშიშვლის გამოც იყო გამორჩეული.
3. ლურჯი ლეგინგი წითელი ტყავის დეტალებით და კვლავ ტყავის პიჯაკი მკაცრ და ვინტაჟურ სტილში.
4. მოდური Trench ლაბადა მკაცრი სილუეტით ერთდროულად მასკულინურიც იყო და ფემინურიც.
5. დიდი ზომის პიჯაკები და განიერი მხრები მკაცრი და ფარული სექსუალურობის სიმბოლოა.
6. რუსაძე ძალზე ოსტატურად მუშაობს ტყავზე – ეს ლაბადა ამ ფაქტის დასტურია.
7. ბოდე-პერანგი და ტყავის წითელი ჟილეტი დეკონსტრუქციის ძალიან კარგი ნიმუშია.

NICOLAS GRIGORIAN

Გრაფიკული, სპორტული და ფუტურისტული აღმოჩნდა ახალგაზრდა დიზაინერის სადებიუტო კოლექცია. ქურთუკები, ბომბერები, უხეში ფორმები და ფერთა საკმაოდ მკაცრად გაწერილი გამა ძალიან მოუხდა კოლექციის საერთო ესთეტიკასა და კონცეფციას.

1. CHIC სპორტული სტილის ქურთუკები უხეში „ელვითა“ და ფერთა საოცრად ჰარმონიული შეხამებით, კოლექციის ყველაზე გამორჩეული ნაწილი გახლდათ.
2. თუმცა დიზაინერმა ქალის გაშიშვლებაც საკმაოდ დახვეწილად და ზომიერად მოახერხა.
3. ისევე, როგორც Oversized პიჯაკებისა და განიერი მხრების სხვადასხვა ფაქტურებთან მორგება.
4. არანაირი პრინტები, ნაქარგები და სიჭრელე – ყველაზე ფერადი LOOK-ები კოლექციაში მხოლოდ ზოლებს გულისხმობდა. ფერთა ასეთი მკაცრი, თუმცა ზუსტი გამა სხვაგან ძალიან იშვიათად თუ შეგხვდებათ.

1

2

3

4

BESSARION

საბჭოთა ეპოქის ესთეტიკის გაცოცხლება **ბესარიონ რაზმაძეს** უკვე მეორე სეზონია ძალიან წარმატებულად და განსხვავებულად გამოსდის. გრძელი ყვავილებიანი კაბებით, „მკაცრი“ პიჯაკებითა თუ ლაბადებით და კუბოკრული პრინტების მიქსით, დიზაინერმა ჩვენ თვალწინ მთელი ეპოქა სრულიად ახლებურად გააცოცხლა. კოლექციაში განსაკუთრებით საინტერესო აქსესუარები აღმოჩნდა. ქამარზე მიმაგრებული პატარა ჩანთები პომპონებით, სანდლები პლატფორმაზე და პრინტიანი ბოტფორდები შემდეგი სეზონისთვის ალბათ უკვე აღმოჩნდა მოდის უამრავი მოყვარულის Wishlist-ში.

1. ნაცრისფერ ყელიან ბლუზაზე გადაცმული ფერადი სარაფანი ბოჰემურ სტილში საკმაოდ საინტერესო საზაფხულო LOOK-ია.
2. პრინტიანი მაისურები – კიდევ ერთი აქტუალური ტრენდი, რომელიც თბილისურ ჩვენებაზეც გამოჩნდა.
3. კოლექციაში საკმაოდ კარგად იყო გაშლილი სამხედრო უნიფორმების ესთეტიკა და დეტალები.
4. ბეჟისა და ვერცხლისფრის კონტრასტული სინთეზი – ნაზი კაბა, ბოტფორდები და ქურთუკი.
5. ბესარიონმა ბოლო სეზონის ჰიტადქცეული აქსესუარის – ქამარი-ჩანთების საკმაოდ ორიგინალური არჩევანი შემოგვთავაზა.
6. ანდროგენული ესთეტიკა – კუბოკრული პიჯაკი „მკაცრი“ სილუეტით და შესაბამისი ქვედაბოლო.
7. Layering-ის პრინციპით ბესარიონმა ერთმანეთს სრულიად კონტრასტული სტილი და ფაქტურები ძალზე გემოვნებით შეუხამა.

6

7

ALEXANDER ARUTYUNOV

 კოლექციამ 3 სრულიად განსხვავებული იდეა საკმაოდ წარმატებულად გაერთიანა – სამხედრო სტილის, დენიმისა და კლასიკური Medieval ესთეტიკის სილუეტები ერთმანეთს ძალიან ჰარმონიულად შეერწყა. მთლიან კოლექციას ახლდა თავთავების ფორმის აქსესუარები და პრინტები. მთლიანობაში, არუთინოვის „ჭვავის ყანა“ საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა.

1

2

3

1. ნაქსოვი პონჩო-სვიტერის, ქამარი-ჩანთისა და კეპის წყალობით, ეს LOOK-ი ნებისმიერი ქუჩის მოდის ფოტოგრაფის გულს მოიგებს.
2. დენიმის ბოტფორდები, თავთავებიანი გამჭვირვალე ჩანთა და ყელიანი ბლუზა ვარსკვლავებისა და გულების პრინტებით – არუთინოვის „ქალი“ ამ სეზონზე თამამი და გამორჩეულია.
3. კორსეტი კაბა, ბომბერი და ზამშეს ბოტფორდი-სანდლები – Casual სტილის საკმაოდ ორიგინალური გარდასახვა.
4. გამჭვირვალე მოსასხამი, კორსეტი და ვუალი – შუა საუკუნეების ესთეტიკისა და დეტალების თანამედროვე და სექსუალური გარდასახვა.
5. კრემისფერ კაბას თავთავების პრინტებით ძალიან უხდება კონტრასტული ტონის ნაცრისფერი ბოტფორდები თასმებით.
6. ჭაობისფერ კაპიუშონიან ზედა სამოსს აშკარად ეტყობოდა 1990-იანი წლების „გრანჟ“ ესთეტიკის გავლენა.

4

5

6

ALEXANDER ARUTYUNOV

1. ვარსკვლავებიანი პრინტები და გამჭვირვალე ფაქტურა – ორი Hot ტრენდის მოდური კომბინაცია.
2. დეკონსტრუქციის საკმაოდ ავთენტური და მოდური მაგალითი – მწვანე შარვალი და პიჯაკი ცალი მკლავით.

Radisson BLU
IVERIA HOTEL, TBILISI

HERE COMES the Sun!

გაწევრიანდით სპაში „ან სემონინ“
და მიიღეთ მრავალფეროვანი სერვისი
განახლებული ბონუსებით.

პაკეტში შედის:

- ღია და დახურული აუზის საშვი
- ფინური და ორთქლის საუნა
- ფიტნეს ცენტრი
- სპა პროცედურა
- -15% ფასდაკლება
- სასტუმროს რესტორნებს და ბარებში.

RADISSON BLU IVERIA HOTEL
Rose Revolution Square 1, 0108 Tbilisi, Georgia
T: +995 322 402 222
radissonblu.com/hotel-tbilisi
Radisson Blu Iveria Hotel

ოკტოპუს ფიტნეს კლუბი

Be *ok*
Climb to the *top*
Become one of *us*

OPEN: *24/7*

სანდრო ეულის ქუჩა #7, თბილისი
(+995) 32 2 301 888
info@oktopus.ge
www.facebook.com/Oktopusfitness/